პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
შაბათი
27 იანვარი
№ 23 (17368)
ფასი 2 კაპ.

ხუთწლეულის ადამიანები

უკვე ორი ათეული წელია ცხინვალის ელექტროვიბრომანქანების ქარხნის პროდუქცია ფართოდ გამოიყენება მანქანათმშენებლობ ა ში, მშენებლობაში, მეტალურგიაში, ქიმიურ, კვების, სამთამადნო, ქვანახშირის, ხისდამამუშავებელ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

ცხინვალური ვიბრომანქანები წარმატებით მუშაობენ მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა მრავალი ქალაქის საწარმოებში.

სურათზე: ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანების“ მოწინავე მღარავი გურამ მარგიევი.

ლ. გუსოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლიაწერილი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, მივიღეთ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და სახელოვნო მეურნეობების, სასწავლებლებისა და ჯარის ნაწილების კოლექტივების, აგრეთვე ამომრჩეველთა საოლქო წინასაარჩევნო თათბირების წერილები და დეპეშები, რომლებშიც ისინი გვაცნობებენ, რომ ჩვენ დაგვახელეს სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში და გვთხოვენ კენჭი ვიყაროთ ამ ოლქებში.

უღრმეს და გულითად მადლობას ვუხდით მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს, არმიისა და ფლოტის მეომრებს, კომუნისტებსა და უპარტიოებს, ყველა ამომრჩეველს, რომლებმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაგვასახელეს.

ამ დიდ პატივსა და ნდობას, რომელიც ჩვენ აღმოგვიჩენეს, მთლიანად მივაკუთვნებთ ჩვენს კომუნისტურ პარტიას, რომლის უმაღლესი მიზანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა, ქვეყნად მშვიდობა და სოციალური პროგრესი. ეს ნდობა მიგვაჩნია პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობისა და იმის დადასტურებად, რომ მთელი ხალხი მხარს უჭერს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომ ჩვენი ქვეყნის შრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განახორციელონ სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ დასახული ამოცანები, ხორცი შეასხან სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას, 1979 წლის გეგმისა და მთლიანად ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში ახალი მიღწევებით აღნიშნონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

რამდენადაც თითოეულ ჩვენგანს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად შეუძლია კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გვირჩია დავთანხმდეთ კენჭი ვიყაროთ შემდეგ საარჩევნო ოლქებში:

ლ. ი. ბრეჟნევმა — კავშირის საბჭოში, ბაუმანის საარჩევნო ოლქი, ქალაქი მოსკოვი;

ი. ვ. ანდროპოვმა — კავშირის საბჭოში, სტუპინოს საარჩევნო ოლქი, მოსკოვის ოლქი;

ვ. ვ. გრიშინმა — კავშირის საბჭოში, პეროვის საარჩევნო ოლქი, ქალაქი მოსკოვი;

ა. ა. გრომიკომ — კავშირის საბჭოში, მინსკის მეორე საქალაქო საარჩევნო ოლქი, ქალაქი მინსკი;

ა. პ. კირილენკომ — კავშირის საბჭოში, ჩკალოვის საარჩევნო ოლქი, ქალაქი სვერდლოვსკი;

ა. ნ. კოსიგინმა — ეროვნებათა საბჭოში, მოსკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქი, რუსეთის სფსრ;

დ. ა. კუნაევმა — კავშირის საბჭოში, ალმა-ათის ლენინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ალმა-ათა;

ა. ი. პელშემ — ეროვნებათა საბჭოში, კიროვის საარჩევნო ოლქი, ლატვიის სსრ;

გ. ვ. რომანოვმა — კავშირის საბჭოში, მოსკოვის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ლენინგრადი;

მ. ა. სუსლოვმა — კავშირის საბჭოში, კიროვის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ლენინგრადი;

დ. თ. უსტინოვმა — კავშირის საბჭოში, კუნცევოს საარჩევნო ოლქი, ქალაქი მოსკოვი;

კ. უ. ჩერნენკომ — კავშირის საბჭოში, კიშინიოვის ლენინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი კიშინიოვი;

ვ. ვ. შჩერბიცკომ — კავშირის საბჭოში, კიევის ლენინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი კიევი;

გ. ა. ალიევმა — კავშირის საბჭოში, ბაქოს ლენინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ბაქო;

პ. ნ. დემიჩევმა — კავშირის საბჭოში, ლუბერცის საარჩევნო ოლქი, მოსკოვის ოლქი;

ვ. ვ. კუზნეცოვმა — ეროვნებათა საბჭოში, ვოლგოგრადის საარჩევნო ოლქი, რუსეთის სფსრ;

პ. მ. მაშეროვმა — ეროვნებათა საბჭოში, ბრესტის საარჩევნო ოლქი, ბელორუსიის სსრ;

ბ. ნ. პონომარიოვმა — ეროვნებათა საბჭოში, კალინინის საარჩევნო ოლქი, რუსეთის სფსრ;

შ. რ. რაშიდოვმა — ეროვნებათა საბჭოში, ტაშკენტის ოქტომბრის საარჩევნო ოლქი, უზბეკეთის სსრ;

მ. ს. სოლომენცევმა — კავშირის საბჭოში, შახტის საარჩევნო ოლქი, როსტოვის ოლქი;

ნ. ა. ტიხონოვმა — კავშირის საბჭოში, ნიკოპოლის საარჩევნო ოლქი, დნეპროპეტროვსკის ოლქი;

ე. ა. შევარდნაძემ — ეროვნებათა საბჭოში, თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ;

ი. ვ. კაპიტონოვმა — კავშირის საბჭოში, კინეშმის საარჩევნო ოლქი, ივანოვოს ოლქი;

ვ. ი. დოლგიხმა — კავშირის საბჭოში, ლენინის საარჩევნო ოლქი, კრასნოიარსკის მხარე;

მ. ვ. ზიმიანინმა — ეროვნებათა საბჭოში, კრასნოდარის საარჩევნო ოლქი, რუსეთის სფსრ;

ი. პ. რიაბოვმა — კავშირის საბჭოში, ნიჟნი ტაგილის საარჩევნო ოლქი, სვერდლოვსკის ოლქი;

კ. ვ. რუსაკოვმა — ეროვნებათა საბჭოში, ლენინაკანის ცენტრალური საარჩევნო ოლქი, სომხეთის სსრ.

მ. ს. გორბაჩოვმა — კავშირის საბჭოში, იპატოვოს საარჩევნო ოლქი, სტავროპოლის მხარე.

ვთხოვთ სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს ჩვენი ეს წერილი მიიჩნიონ დოკუმენტად დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის დროს.

ლ. ი. ბრეჟნევი	ა. ი. პელშე
ი. ვ. ანდროპოვი	გ. ვ. რომანოვი
ვ. ვ. გრიშინი	მ. ა. სუსლოვი
ა. ა. გრომიკო	დ. თ. უსტინოვი
ა. პ. კირილენკო	კ. უ. ჩერნენკო
ა. ნ. კოსიგინი	ვ. ვ. შჩერბიცკი
დ. ა. კუნაევი	გ. ა. ალიევი
პ. ნ. დემიჩევი	ე. ა. შევარდნაძე
ვ. ვ. კუზნეცოვი	ი. ვ. კაპიტონოვი
პ. მ. მაშეროვი	ვ. ი. დოლგიხი
ბ. ნ. პონომარიოვი	მ. ვ. ზიმიანინი
შ. რ. რაშიდოვი	ი. პ. რიაბოვი
მ. ს. სოლომენცევი	კ. ვ. რუსაკოვი
ნ. ა. ტიხონოვი	მ. ს. გორბაჩოვი

1979 წლის 26 იანვარი.

ხალხის კანდიდატები

რესპუბლიკაში დამთავრდა წინასაარჩევნო კამპანიის მორიგი ეტაპი — საოლქო წინასაარჩევნო თათბირები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის **დიმიტრი თევდორეს ძე უსტინოვისა** და ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის საწარმოო სანგრევის მუშის **ევტიხი ვიქტორის ძე ხვანიის** კანდიდატურებს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე, რომელიც გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 190 წყალტუბოს საარჩევნო ოლქში.

ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარის, **გივი აკაკის ძე წითლიძის** კანდიდატურას, რომელიც დასახელებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 179 მახარაძის საარჩევნო ოლქში.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა, რომელიც გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 171 ბოლნისის საარჩევნო ოლქში, მხარი დაუჭირა მარნეულის რაიონის სადახლოს მეთამბაქოეობის საბჭოთა მეურნეობის მუშის **გულიაზ მამუდ ყზი ხალილოვას** კანდიდატურას.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა, რომელიც გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების № 671 სოხუმის საარჩევნო ოლქში, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის **ბორის ვიქტორის ძე ადლეიბას** კანდიდატურას.

მხარი დაუჭირეს აგრეთვე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის **კონსტანტინე სპირიდონის ძე ვირახლაძის**, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, მოქანდაკე **მერაბ ისიდორეს ძე ბერძენიშვილის**, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **იუზა ჯახოს ძე უბილავას**, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის **ნუგზარ დომენტის ძე რუხაძის**, სოფელ ზემო გულრიფშის მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოის **აიგუშ გურგენის ასულ იანუკიანის**, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის **ვიქტორ მიხეილის ძე ჩებრიკოვის**, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ოპერატორის **ნუგზარ მემედის ძე გოგაძის**, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის **ვასილ ვასილის ძე ბოიკოვის**, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის **ვახტანგ რაფაელის ძე პაპუნიძის**, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის **თეიმურაზ ილიას ძე მოსაშვილის** კანდიდატურებს.

* * *

წინასაარჩევნო თათბირების მონაწილეებმა სთხოვეს კანდიდატებს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად. აირჩიეს დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირნი და მიიღეს მმართველები ყველა ამომრჩეველისადმი. (საქინფორმი).

გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVII კონფერენციაზე 1979 წლის 20 იანვარს

ამხანაგო დელეგატებო!

დაიწყო ახალი, 1979 წელი. ახალი წლის დადგომა კი ხდება მიღწეულის შედეგების შეჯამებასა და მომავლის გეგმების განსაზღვრას უკავშირდება.

განვლილი, 1978 წლის შედეგების შეჯამებისას, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საბჭოთა ხალხისადმი საახალწლო მიმოცვლაში აღნიშნეს, რომ ეს იყო პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ნაყოფიერი შრომის წელი, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მოქმედების პირველი წელი.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ განსაზღვრეს ახალი, 1979 წლის ამოცანები, საგანგებოდ აღნიშნეს, რომ საბჭოთა ხალხი მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს იწყებს აღფრთოვანებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისსა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებით, რომლებშიც დასახულია ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისათვის პარტიისა და ხალხის საქმიანობის საბრძოლო პროგრამა, ეკონომიკური, სოციალურ და კულტურულ მშენებლობაში ახალი მიჯნების მიღწევის პროგრამა.

განვლილი წლის შედეგებში, რომლებზეც საახალწლო მიმოცვლაშია ლაპარაკი, საბჭოთა ხალხის ნაყოფიერ შრომაში მეათე ხუთწლედის მესამე წელს არცთუ მცირე წვლილი შეეტანეს თბილისის, ისევე როგორც მთელი საქართველოს, კომუნისტებმა და ყველა მშრომელმა.

ამავე დროს გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც პარტიამ მომავალი პერიოდისათვის, ახალი, 1979 სამეურნეო წლისათვის დაგვისახა, ყველა კომუნისტთან, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უნდა გადაწყვიტონ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის, ისევე როგორც მთელი ჩვენი რესპუბლიკის, კომუნისტებმა და მშრომელებმა.

როცა 1978 წლის შედეგებზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებული კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ განვლილი წელი ჩვენი რესპუბლიკისათვის იყო ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის, მისი ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის ზრდის წელი.

სასიხარულოა, რომ ერთ სულ მოსახლეზე საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოებაში მნიშვნელოვნად შემცირდა საერთო-საკავშირო მაჩვენებლებისაგან რესპუბლიკის ჩამორჩენა.

1972 წელს, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების წელს, წინა წელთან შედარებით პროდუქციის წარმოების მოცულობა შეამცირა 338 საწარმომ. 1978 წელს ასეთ საწარმოთა რიცხვი ორჯერ და მეტად შემცირდა.

1972 წელს წარმოების მოცულობის გეგმა ვერ შეასრულა 261-მა, 1978 წელს კი 19-მა სამრეწველო საწარმომ.

თუ 1972 წელს სამრეწველო პროდუქციის საშუალო-სადღეღამისო წარმოება რესპუბლიკაში სულ 15,6 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1978 წელს ამ მაჩვენებელმა უკვე 24,7 მილიონ მანეთს მიაღწია, რამაც სამრეწველო წარმოების მატების წლიური ტემპი 7,4 პროცენტის მოცულობით განსაზღვრა, სოციალისტური ვალდებულებით კი 7,1 პროცენტი იყო გათვალისწინებული.

სამრეწველო პროდუქციის მატების ტემპით საქართველოს მეოთხე ადგილი უკავია კავშირში, შრომის ნაყოფიერება ზრდის ტემპით კი პირველ ადგილზე გამოვდით.

შარშან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. საქართველოს მეჩაიეებმა მოიყვანეს რეკორდული მოსავალი — სახელმწიფოს ჩაბარეს 430 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მევენახეებმა კი 575 ათასი ტონა ყურძენი. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპი ცუდი არ არის.

ბევრი რამ გაკეთდა მშენებლობის დარგში. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ამოქმედდა 5,5 მილიარდი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც თითქმის მეოთხედ-ნახევარი მანეთით აღემატება წინა ხუთი წლისას. 1978 წელს წინა წელთან შედარებით ათვისებულია 111 მილიონი მანეთით მეტი კაპიტალური დაბანდება, ძირითადი ფონდები კი ამოქმედდა 432 მილიონი მანეთით მეტი.

გაუმჯობესდა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა. 1977 წელს 1972 წელთან შედარებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა მუშაკის მარტო ხელფასის ფონდი გაიზარდა 38,7 პროცენტით, მათ შორის მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი — 36,6 პროცენტით, ხელფასის ზრდის კიდევ უფრო მაღალ ტემპია სოფლის მეურნეობაში.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მიღწეული კულტურის დარგში, მეცნიერების აღმავლობაში, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

ამრიგად, ჩვენ, ამხანაგებო, ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ 1978 წელი, მეათე ხუთწლედის მესამე წელი რესპუბლიკისათვის კარგი, ნაყოფიერი იყო ყველა ასპექტით. მისი შედეგები შეეჯამეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე, რომელზეც განისაზღვრა აგრეთვე რესპუბლიკის პარტორგანიზაციის მორიგი ამოცანები 1979 წლისა და უფრო შორეული პერსპექტივისათვის, ეს ამოცანები გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და ამ პლენუმზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დასკვნებიდან და დებულებებიდან.

ამხანაგებო!

საეჭვო არ არის იმაზე ლაპარაკი, რომ პარტიული კონფერენცია თითოეული პარტიული ორგანიზაციის ცხოვრების ფრიად მნიშვნელოვანი მოჭნაა. სწორედ ამიტომ ჩვენ ყოველთვის განსაზღვრავთ ხოლმე ადგილს, რომელიც ამ კონფერენციას უკავია პარტორგანიზაციის მთელ საქმიანობაში, თუ ამ საქმიანობას ისტორიული ასპექტით განვიხილავთ, და ამასთანავე აღვნიშნავთ დროს, რომელშიც იგი მიმდინარეობს.

თუ თბილისის XXXVII საქალაქო პარტიულ კონფერენციას ამ ორი პოზიციიდან მივუდგებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ახლანდელი კონფერენცია დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ერთი ეტაპის დაგვირგვინება და ახალი, უფრო მნიშვნელოვანი და უფრო რთული ეტაპის დასაწყისია.**

წინა კონფერენციიდან ანუ მეათე ხუთწლედის დამდეგიდან განვლილი სამი წელი იმით ხასიათდება, რომ გაძლიერდა ბრძოლა თბილისის საქალაქო კომიტეტის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებათა კონკრეტულ, პრაქტიკული განხორციელებისათვის. დღეს სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ განვლილი წლები ჩვენთვის იყო დიდი გამოცდის, დიდი შემოწმების პერიოდი, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის მთელი ჩვენი მუშაობის გენერალური დათვალიერების პერიოდი.

ახალი ეტაპი, რომელსაც ეს პარტიული კონფერენცია დაუდებს დასაბამს, **უნდა გახდეს იმ ნაკლოვანებათა სრული აღმოფხვრის ეტაპი, რომლებიც თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა, უნდა გახდეს ეტაპი, როცა კიდევ უფრო გაძლიერდება ქალაქის, ისევე როგორც მთელი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა ეკონომიკასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად.**

ასეთია თბილისის ახლანდელი, XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის ადგილი.

რაც შეეხება ჩვენი კონფერენციის შეკრების დროს, იგი განსაკუთრებით საგულისხმოა: კონფერენცია მიმდინარეობს პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში ისეთი ღირსშესანიშნავი მოვლენის შემდეგ, როგორიც იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალებში, აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის დეკლარაციაში, რომელშიც ზუსტად არის ჩამოყალიბებული საერთაშორისო ცხოვრების აქტუალური პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული პროგრამა, მკაფიოდ აისახა საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის ბრძოლა ხალხების მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის, მთელი კაცობრიობის სოციალური პროგრესისათვის.

დაძაბულობის შენელების პოლიტიკა, რომელსაც მტკიცედ და თანამიმდევრულად ადგანან ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, სულ უფრო ფართო აღიარებასა და მხარდაჭერას პოულობს მთელ მსოფლიოში. ეს პოლიტიკა ხელს უწყობს რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას, ავიწროებს იმპერიალისტური გავლენის სფეროს. სწორედ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ატმოსფეროში გახდა შესაძლებელი ის გამარჯვებანი, რომლებიც მოიპოვეს ანგოლაში, ეთიოპიასა და ავღანეთში, დღეს კი კამპუჩიის მრავალტანჯულ მიწა-წყალზე. ფაშისტური რეჟიმები დაემხო პორტუგალიასა და ესპანეთში, მასობრივი დემოკრატიული მოძრაობა გაიშალა ირანში, ნიკარაგუასა და კაპიტალისტური სამყაროს სხვა ქვეყნებში.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის გენერალური კურსი, რომლის მიზანია ხალხთა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა, ამ დღეებში კვლავ დაადასტურა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ამერიკული ჟურნალის „ტაიმის“ კითხვებზე გაცემულ პასუხში.

სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის განუხრელ და თანამიმდევრულ განხორციელებასთან ერთად ჩვენი პარტია უაღრესად დიდ ყურადღებას უთმობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, შეიარაღებული ძალების სრულყოფას. ამაზე საფუძვლიანად ილაპარაკა გუშინ კონფერენციაზე ამხ. ა. მ. ოვერჩენკომ. ჩვენ ყოველნაირად უნდა განვამტკიცოთ ქალაქის პარტიული ორგანიზაციის კავშირი მეორკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქების ქვეგანაყოფებთან, გავაძლიერ ით ‘ა‘ მხედრო-საშეფო მუშაობა, ნშრომელების, უწინარეს ყოვლისა ჩვენი ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მკაფიო, ღრმაშინაარსიანი, მეცნიერულად დასაბუთებული სიტყვა, მისი მითითებანი განსაზღვრავს თითოეული პარტიული ორგანიზაციის, თითოეული საბჭოთა ადამიანის ამოცანებს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი აღმავლობისთვის, მისი ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ამ დასკვნებმა და მითითებებმა მკაფიოდ გამოხატული მიმართულება მიანიჭა ჩვენს პარტიულ კონფერენციასაც, განსაზღვრა მისი ხასიათი და შინაარსი, მისი მაღალი ორგანიზაციული და პოლიტიკური დონე.

ასეთია დრო, რომელშიც მიმდინარეობს თბილისის ახლანდელი XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენცია.

თბილისელი კომუნისტების კონფერენციის ადგილი და დრო, მისი მნიშვნელობა იმითაც განსაზღვრება, რომ იგი აგვირგვინებს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო საარჩევნო კამპანიას, მისი დამამთავრებელი ეტაპია და ამით საშუალებას ზვამლევს გამოვიტანოთ ზოგადი დასკვნები, შეკაჯამოთ ანგარიშგება-არჩევნების ზოგადი შედეგები. როგორია ეს დასკვნები და შედეგები?

I.

დღეს სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითება შესრულებულია: **საანგარიშო-საარჩევნო კამპანიიდან რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ყველა რგოლი კიდევ უფრო მობილიზებული, კიდევ უფრო ძლიერი და ქმედითუნარიანი გამოვდა.**

ახლანდელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები ის არის, რომ, ჯერ ერთი, მან ცხადყო შინაპარტიული დემოკრატიის, კოლექტიური ხელმძღვანელობის შემდგომი გაღრმავება. ანგარიშგება-არჩევნები მოეწყო 11.215 პირველად პარტიულ ორგანიზაციაში, რომელთაც აღრიცხვაზე ჰყავთ 335.763 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი. საანგარიშო-საარჩევნო კრებების მუშაობაში მონაწილეობდა კომუნისტების 96,7 პროცენტი, კამათში კი გამოვიდა დამსწრეთა 38 პროცენტი, ესე იგი 6,7 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა არჩევნების დროს.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები, რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები იმით გამოირჩეოდა, რომ კომუნისტები მაღალ აქტიურობასა და გაზრდილ პოლიტიკურ სიმწიფეს იჩენდნენ, კომპეტენტურად და საფუძვლიანად განხილავდნენ ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხებს, მათ ისწავლეს, თუ როგორ უნდა გაერკვნენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის რთულ პრობლემებში, როგორ იბრძოლონ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღებისათვის, როგორ განახორციელონ სწორი საკადრო პოლიტიკა.

განსაკუთრებით საფუძვლიანად განხილეს სახალხო-სამეურნეო პრობლემები. **ამჯერად კრებებსა** და კონფერენციებზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების თაობაზე 20 პროცენტით მეტი კონკრეტული, უაღრესად საყურადღებო წინადადება წამოაყენეს, ვიდრე 1975 წლის ანგარიშგება-არჩევნების დროს. ეს დადებითი, კარგი ტენდენციაა.

მეორე: ახლანდელმა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ გვიჩვენა, რომ გაცილებით ბრძოლისუნარიანი გახდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც უფრო კომპეტენტურ, უფრო ეფექტიან გაგლენას ახდენენ ეკონომიკის ყველა დარგის საქმის ვითარებაზე, შრომითი კოლექტივების ცხოვრებასა და მუშაობაზე.

მესამე: პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნები მოწმობს, რომ წლითიწლობით სულ უფრო ფართო და ღრმა ხასიათი ენიჭება კრიტიკასა და თვითკრიტიკას, როგორც შინაპარტიული დემოკრატიის, ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზმის ყველაზე სრულ გამოხატულებას. კრიტიკა სულ უფრო კონკრეტული ხდება, ამავე დროს კომუნისტების ყოველ, საქმის ინტერესებით ნაკარნახევ კრიტიკულ შენიშვნას, ყოველ წინადადებას პარტიული ორგანიზაციები პრინციპულად უჭერენ მხარს.

მეოთხე: საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ ცხადყო, რომ პირველადი, რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული ორგანიზაციები ახლა უფრო თანამიმდევრულად და ეფექტიანად იბრძვიან პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვისათვის. ასეთი ბრძოლა დადებითს ნაყოფს იღებს, უშუალო უკუგებას იძლევა რესპუბლიკის ეკონომიკისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

დასასრულ, პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნებმა გვიჩვენა, თუ რა თვისებრივი ცვლილებები მოხდა ამ ბოლო დროს კადრებთან მუშაობაში. უკვე განვლილი კამპანიის შედეგად სხვადასხვა ხელმძღვანელ პოსტზე დაწინაურდა ბევრი ახალგაზრდა, პერსპექტიული ამხანაგი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს პრაქტიკული მუშაობით. ამასთან ერთად კადრების შეფასებისა და შერჩევის მთავარ კრიტერიუმს სულ უფრო ხშირად განსაზღვრავს მათი პოლიტიკური და საქმიანი თვისებები, მორალური სახე, მათი კვალიფიკაცია, ორგანიზატორული ნიჭი, მასების გაძღოლის უნარი. ბევრად გაძლიერდა პირველად პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების შემადგენლობა. მათს შორის 68,1 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს, 37 პროცენტი სახალხო მეურნეობის სპეციალისტია. ბევრად ოშვიათი გახდა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების შეცვლა. ჩვენი კადრების ბირთვი სულ უფრო სტაბილური, სულ უფრო მყარი ხდება.

დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციისათვის კადრების მომზადების, განაწილებისა და აღზრდის ამოცანას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თბილისშია თავმოყრილი არა მარტო საქალაქო, არამედ რესპუბლიკური პარტიული და საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოებიც, ყველა ჩვენი სამინისტრო და უწყება, წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებები და მმართველობის სხვა ორგანოები. სწორედ ეს გახლავთ დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის სპეციფიკა,

(გაგრძელება მე-2 გვ.).

გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად!

(გაგრძელება)

რომელსაც მუდამ უნდა ვითვალისწინებდეთ, და პარტიის საქალაქო კომიტეტი, როგორც ეს ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, მუდამ მთავარ ყურადღებას უნდა უთმობდეს მუშაობის იმ უმთავრეს უბნებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქალაქისათვის, არამედ მთელი რესპუბლიკისთვისაც.

ახლა, კონფერენციის შემდეგ, საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი უახლოესი ამოცანაა კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს ორგანიზატორული, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დამამთავრებელ ეტაპზე. უნდა დავამკვიდროთ მასების ახლანდელი მაღალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, თითოეულ შრომითი კოლექტივი დავარაზმოთ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, 1979 წლის, მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნებში უაღრესად აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარეგიზიო კომისიის წევრები, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული . კომიტეტების წევრები. მაგალითად, აჭარის საოლქო პარტიული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე ამხ. ზ. ა. პატარიძე, სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული კონფერენციის მუშაობაში — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე ამხ. ბ. ბ. გილაშვილი, საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მომზადებისა და ჩატარებისათვის დიდი მუშაობა გასწიეს ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. ვ. კოლბინმა, სხვა მდივნებმა, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა.

მე დავესწარი ფოთის საქალაქო პარტიულ კონფერენციას, რომელმაც კარგ დონეზე ჩაიარა. მონაწილეობა მივიღე აფხაზეთის საოლქო პარტიული კონფერენციის მუშაობაში. ისევე როგორც საანგარიშო-საარჩევნო კამპანია აფხაზეთში, ეს კონფერენციაც ორგანიზებულობით, კომუნისტების დიდი პოლიტიკური აქტიურობით გამოირჩეოდა, რაც ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკასა და სულიერ ცხოვრებაში მომხდარი პოზიტიური ცვლილებების დამაჯერებელი დადასტურებაა. კონფერენციამ ცხადყო, რომ აფხაზეთის კომუნისტები მზად არიან და პოტენციური შესაძლებლობაც აქვთ. აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, დაძლიონ წარსულში წარმოქმნილი ზოგიერთი სიძნელე.

ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა განხორციელებისათვის მუშაობა მხოლოდ ახლა დაიწყო და ყველა დასახული ღონისძიების შესასრულებლად ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთონ აფხაზეთმიც და, რა თქმა უნდა, დედაქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ, რესპუბლიკურმა ორგანოებმა, იდეოლოგიურმა დაწესებულებებმა, ჩვენმა შემოქმედებითმა კავშირებმა.

აფხაზეთის კომუნისტებ მ ა მთხოვეს მგზნებარე სალამი გადმოგაცეთ და ყოველივე საუკეთესო გისურვოთ თქვენ, თბილისის სახელოვანი პარტიული ორგანიზაციის საუკეთესო წარმომადგენლებს. დიდი სიამოვნებით ვასრულებ ამ თხოვნას. (ტაში). რამდენადაც ვიცი, იგივე დაავალეს ამხ. ზ. ა. პატარიძეს აჭარის კომუნისტებმა და ამხ. პ. გ. გილაშვილს — სამხრეთ ოსეთის პარტიულმა ორგანიზაციამ. (ტაში).

ახლანდელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შედეგების შეჯამებისას ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მისი უურადღების ცენტრში აღმოჩნდა ეკონომიკური, საწარმოო, იდეურ-აღმზრდელობითი ხასიათის ბევრი პრობლემა, რომლებიც სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით იყო განხილული.

და ყველა ეს საკითხი ღრმად აისახა თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის მუშაობაში, რომელმაც კვლავ დაადასტურა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის კომუნისტების მონოლითური შეკავშირება, მათი მზადყოფნა კიდევ უფრო მეტი წვლილი შეიტანონ კომუნისტური შენებლობის დიდი ამოცანების გადაწყვეტაში.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილის უაღრესად შინაარსიან, საფუძვლიან მოხსენებაში, კონფერენციის დელეგატთა გამოსვლებში მოცემულია პარტიის საქალაქო კომიტეტისა და დედაქალაქის მთელი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო პერიოდის საქმიანობის სრული, ამომწურავი სურათი. ეს იყო შესანიშნავი მოხსენება, ეს იყო საუცხოო გამოსვლები. და ეს მოწმობს, რომ ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში არიან შემოქმედი, მოუხრეველ ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ მკაფიოდ, ემოციურად გადმოსცენ თავიანთი აზრები.

კონფერენციის ყველა მონაწილე კმაყოფილებით აღნიშნავს მის მაღალ ინტელექტუალურ დონეს, მის ღრმა შინაარსს, მისი ჩატარების უაღრესად საინტერესო ფორმას, ყველა სიამაყის გრძნობით ივსება მიღწეულისათვის, ყველა გულწრფელად წუხს ნაკლოვანებათა გამო.

თბილისელი კომუნისტების კონფერენცია გამოირჩევა საქმიანობითა და ამაღლებული სულისკვეთებით, მისთვის დამახასიათებელია დაკვირვებული განსჯა და გულთბილი გრძნობები. და თუ მოკლედ შევეფასებთ კონფერენციის მუშაობას, შეგვიძლია ვთქვათ: ეს ძალიან კარგი, შესანიშნავი კონფერენციაა. (ტაში). თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენცია პარტიული და საზოგადოებრივი მუშაობის თანამედროვე დონის, პარტიის ეკონომიკური საქმიანობის საუკეთესო განსახიერებაა როგორც ქალაქში, ისე რესპუბლიკაში, თვით საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის სულისკვეთების საუკეთესო განსახიერებაა.

ამ დღეებში ჩვენ ყველანი დავრწმუნდით, რომ თბილისის ქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში საქმე კარგად მიდის. და თუ იგი შემდგომშიც ისე კარგად იმუშავებს, როგორც კონფერენცია მუშაობდა, საქმე კიდევ უფრო უკეთესად წარიმართება. დაე ამ შეხვედრაზეც ერთი იყოს ჩვენი საქმე და სიტყვა.

ქალაქის პარტორგანიზაციის მუშაობა ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს, მაგრამ როცა იგი ისეთი კონცენტრირებული, ისეთი განზოგადებული სახით წარმოგვიდგება, როგორც დღეს, მისი მნიშვნელობა და გაქანება განსაკუთრებით საგრძნობი ხდება.

ამიტომ, ნება მიბოძეთ, შევეხო მხოლოდ ზოგიერთ საკითხს, უფრო სწორად, ერთ, უაღრესად დიდმნიშვნელოვან, მე ვიტყოდი, საქალაქო პარტიული ორგანიზაციისათვის განმსაზღვრელ საკითხს. რა საკითხია ეს? იგი მოხსენებაშიც იყო აღძრული და ამხანაგების გამოსვლებშიც.

ეს გახლავთ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად გადაქცევის საკითხი. ჩვენი აზრით, საქალაქო პარტიული ორგანიზაციისათვის ეს საკითხთა საკითხია. ეს არის ჩვენი მუშაობის გენერალური ხაზი, ჩვენი პოლიტიკური, ორგანიზატორული, ეკონომიკური საქმიანობის მთავარი მიმართულება. და, ძირითადად, დღეს სწორედ ამაზე მინდა ვილაპარაკო.

II.

პარტიის თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტორგანიზაციები ბევრ რამეს აკეთებენ დედაქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური დაგეგმვის საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა უნდა გაეწიოთ, რომ თბილისი ნამდვილად სანიმუშო ქალაქი გახდეს.

თბილისზე, იმაზე, რომ მას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს, შარშან ნოემბერში იყო ლაპარაკი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმზე, რომელმაც მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხები განიხილა. და დღეს ჩვენ ვიმეორებთ, რომ რესპუბლიკის დედაქალაქი უნდა იყოს ჩვენი უპირველესი და უდიდესი საზრუნავი, რადგან თბილისი ჩვენი რესპუბლიკის სახეა, მისი გულია.

თბილისი რომ სანიმუშო კომუნისტური ქალაქი გახდეს, იგი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ქალაქი უნდა იყოს. ეს მთავარია.

კონფერენციაზე უკვე ითქვა, თუ რა ფართო გაქანება მიენიჭა ქალაქში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობას; აქ დაასახელეს მოწინავე საწარმოები, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეები. რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობის წარმატებანი გასაკუთრებით გვახარებს, რადგან თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ 1971 წელს ქალაქის ყოველ მეოთხე საწარმოში შემცირდა რეალიზებული პროდუქციის მოცულობა და შრომის ნაყოფიერება, ბევრ საწარმოში ნელი ტემპით მაღლდებოდა წარმოების ტექნიკური დონე. სრულად არ იყენებდნენ საწარმოო სიმძლავრეებს, მცირდებოდა ფონდუკუგება, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

დრომ და შრომამ თავისი კორექტივები შეიტანა. თუ 1971-1973 წლებში ქალაქის მრეწველობა წარმოების მოცულობის ზრდის ტემპით ბევრად ჩამორჩებოდა საკონტროლო ციფრებს და ზრდის საშუალო-წლიურმა ტემპმა მეცხრე ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში 4,1 პროცენტი შეადგინა, სამაგიეროდ ბოლო სამი წლის მანძილზე ტემპი 6,9 პროცენტამდე გაიზარდა.

ქალაქის მრეწველობამ ისე დაამთავრა 1977 წელი, რომ არც ერთი საწარმო არ ჩამორჩენილა, 1978 წელს კი მხოლოდ ერთი საწარმო ჩამორჩებოდა.

მუჭობესდება ხარისხობრივი მაჩვენებლები. 1973 წლიდან მოყოლებული იზრდება შრომის ნაყოფიერება. ხუთწლედის სამ წელიწადში ამ ფაქტორის წყალობით მიღებულია მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობის მატების თითქმის 80 პროცენტი. ამ საფუძველზე გადიდდა ფონდუკუგება. ბოლო წლებში გაუმჯობესდა შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდის თანაფარდობა.

თითოეული ეს მაჩვენებელი მოწმობს, თუ როგორ განუხრელად სრულდება თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ყოველი პუნქტი, ყოველი სტრიქონი. მე ხაზს ვუსვამ: სრულდება, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ მთლიანად შევასრულოთ იგი. აღებული ტემპი არათუ არ უნდა შევანელოთ, პირიქით, ყოველნაირად გავაძლიეროთ, თანამიმდევრულად ავამაღლოთ წარმოების დონე, მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების უფრო მკვეთრ ზრდას, გავაფართოოთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობა, კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება.

რესპუბლიკის დედაქალაქისათვის ხუთწლედის დამამთავრებელი ფაზა დაიწყო. ეს თბილისის პარტორგანიზაციას განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან ამოცანებს უსახავს. შევეხოთ ზოგიერთ პრობლემას.

პირველი მათგანი უჩამორჩენილებოდ მუშაობაა. ამისათვის ჩვენში ბევრი რამ კეთდება, მაგრამ პრობლემა ბოლომდე ჯერ არ გადაწყვეტილა.

ბოლო ხანს აშკარად იგრძნობა ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვის შემცირების ტენდენცია. მაგრამ ზოგჯერ ამას, როგორც ამხ. თ. მენთეშაშვილმა თქვა, შემცირების მიმართულებით საწარმოო გეგმების კორექტივების შედეგად ვაღწევთ.

ამიტომ უჩამორჩენილებოდ მუშაობის ამოცანა უნდა დავაზუსტოთ და ასე ჩამოვაყალიბოთ: **მივადწიოთ, იმას, რომ ვიმუშაოთ ჩამორჩენილ საწარმოთა გარეშე და ამასთანავე უთუოდ უზრუნველყოთ წარმოების ზრდის გეგმით გათვალისწინებული ტემპი.** მხოლოდ ამ პირობით გადავწყვეტთ ჩვენს მთავარ ეკონომიკურ ამოცანას და უახლოეს წლებში აღმოვფხვრით საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებისაგან რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების დონის შედარებით ჩამორჩენას. ამ ამოცანის გადაწყვეტაში კი პირველი სიტყვა უნდა ეკუთვნოდეს თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, ჩვენი დედაქალაქის კომუნისტებს, სახელოვან მუშათა კლასს, ტექნიკურ ინტელიგენციას.

რამდენადაც სამეგ უჩამორჩენილებოდ მუშაობას ეხება, შარშან კი ერთადერთი ჩამორჩენილი საწარმო აღმოჩნდა, ეტყობა, ამაზე საგანგებოდ უნდა ვილაპარაკოთ. ეს არის თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანება.

1974 წლის ივლისში ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში, რომელიც ახლა ამ გაერთიანების მეთაური საწარმოა, გიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის შედეგებისადმი მძღვნილი დახურული პარტიული კრება. კრებამ მოსმინა და განიხილა ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, რომელშიც წარმატებებთან ერთად საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელობის, აგრეთვე ქარხნის პარტკომის საქმიანობის სერიოზული ნაკლოვანებანიც იყო აღნიშნული.

კონფერენციის წინ ჩვენ სპეციალურად დაინტერესდით, თუ როგორ სრულდება დასახულ პროგრამა, და ფრიად უღიმღამო სურათი დავინახეთ. სამწუხაროდ, ქარხანაში თითქმის ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი არათუ არ უმჯობესდება, პირიქით, უარესდება კიდეც: ხუთწლედის დავალებებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი; ბევრად არ შეცვლილა ტექნოლოგიური მოწყობილობის შემადგენლობა, ნელა მატულობს ცვლიანობის კოეფიციენტი; სისტემატურად ვერ სრულდება შრომატევადობის შემცირების დავალება; იზრდება ზეგანაკვეთური სამუშაოები, ამასთანავე სამუშაო დროის კოლოსალური დანაკარგები გვაქვს.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია, რომ ქარხანაში არ ცდილობენ კადრების მყარი რეზერვის შექმნას. რიგზე ვერ არის უმაღლესი და საშუალო რგოლის კადრების — მთავარი სპეციალისტების, საამქროთა უფროსებისა და სხვათა მომზადების საქმე.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ საქარხნო პარტიულ ორგანიზაციას სათანადო დასკვნები არ გამოუტანია დახურული პარტიული კრების გადაწყვეტილებებიდან.

რა გამოდის? ოთხი წლის წინათ ვთქვით, რომ საჭირო იყო ყველაზე გადაუდებელი ღონისძიებანი ქარხანაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისათვის, გაუმჯობესება კი არ ჩანს. საქმე ლამის ჩაიშალა. ჩვენ კი ვურიგდებოდით, იმედს არ ვკარგავდით, რომ ქარხნის ხელმძღვანელი ამხ. დ. ა. კიკნაძე ბოლოს და ბოლოს წესრიგს დაამყარებდა. მაგრამ ეს არ მოხდა, და იძულებული გავხდით დირექტორი გაგვთავისუფლებინა თანამდებობიდან, უბრალოდ გადაგვეადგილებინა, თუმცა უფრო მკაცრი დასკვნები უნდა გამოგვეტანა.

ამბობენ, ამხ. კიკნაძე პატიოსანი კაცია. გეთანხმებით. მაგრამ ჩვენ პატიოსნების ყველაზე ფართო გაგების მოძრე ვართ. პატიოსანი მარტო ის როდია, ვინც ქრთამს არ იღებს; პატიოსნების ასეთ საზომზე ლაპარაკიც კი უხერხულია. პატიოსანი ის არის, ვინც თავისი შრომით, თავისი მაგალითით ამტკიცებს უსაზღვრო ერთგულებას პარტიისადმი, ხალხისადმი, სამშობლოსადმი, ვინც სიძნელეებს არ უშინდება და გაბედულად სძლევს მათ, შეუპოვრად და. მტკიცედ იღვწის უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების განხორციელებისათვის.

ჩარხსაშენებელ მრეწველობაში შექმნილი ვითარება ძალზე გვაწუხებს. პირდაპირ უნდა ვთქვათ — ყოველივე ის, რაც ამ დარგში ხდება, არ ეკადრებათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას, მის ბიუროსა და სამდივნოს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობას, ამ დარგისათვის პასუხისმგებელ ამხანაგებს, პარტიის საქალაქო კომიტეტს და, რა თქმა უნდა, ლენინის რაიონულ კომიტეტს, პირადად ამხ. გ. ა. ანჩაბაძეს, რომელიც, სხვათა შორის, ამ ტრიბუნიდან კარგად გამოვიდა და საერთოდ ურიგოდ არ მუშაობს.

მეორე პრობლემაა შრომის ნაყოფიერების ზრდის პრობლემა. სამწუხაროდ, არც აქ არის საბარბილელო სურათი. 1975 წელს შრომის ნაყოფიერება შეამცირა 29, 1978 წელს კი 21 საწარმომ. ეს მოწმობს, რომ საჭიროა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას თითოეულ საწარმოში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ შრომის ნაყოფიერება კომპლექსური მაჩვენებელია და ამ მაჩვენებლის გაუმჯობესებას კომპლექსურად უნდა მივუდგეთ.

მესამე პრობლემაა პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების პრობლემა. ყოველნაირი მოწონების ღირსია თბილისის პროდუქციის ხარისხის მართვის საქალაქო სისტემა, რომელიც პარტიის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით ხორციელდება. ამის შესახებ არაერთგზის გვითქვამს ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, და დღეს კვლავ უნდა აღვნიშნოთ. მკვეთრად შემცირდა უატესტაციო პროდუქციის მოცულობა, წარმოებიდან პრაქტიკულად მოიხსნა მეორე კატეგორიის პროდუქცია, შესამჩნევად იზრდება ხარისხის პირველი და უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის რაოდენობა და მოცულობა.

მაგრამ ისეთ საწარმოებსა და გაერთიანებებს, როგორიც არის „თბილისგაზაპარატის“, ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნები, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყო“, საზოგადოება „დინამოს“ უქსოვი ქსოვილების ფაბრიკა და სხვები, ჯერ კიდევ არ დაუწყიათ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვება.

ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა იბრძოლონ წარმოების ტექნიკური სრულყოფისა და კულტურისათვის, სამეცნიერო ნამუშევრების დანერგვისათვის, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ეს საკითხი სრულად პრინციპული, მე ვიტყოდი, პრესტიჟის საკითხია. რესპუბლიკის დედაქალაქში პროდუქცია უნდა გამოდიოდეს საუკეთესო თანამედროვე საკავშირო და მსოფლიო სტანდარტების დონეზე. ასეთია საქალაქო პარტიული ორგანიზაციის საპატიო საბრძოლო ამოცანა.

და, ბოლოს, მეოთხე პრობლემაა შინაგანი რეზერვების გამოძებნა 1979 წლისა და მთელი მეათე ხუთწლედის საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველსაყოფად. ამასთან საქმე ეხება არა იმ რეზერვებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც დამატებითი დიდი მატერიალური რესურსების გამოყოფას მოითხოვს, არამედ ფარულ პოტენციალს, რომელსაც შეიცავს ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერგიის დაზოგვა, საწარმოო ნარჩენების მინიმუმამდე შემცირება და მათი შემდგომი გადამუშავება, წუნის შემცირება, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება და სხვ. ამ პრობლემებზე ერთობ კვლიფიციურად ილაპარაკეს აქ ამხანაგებმა ზ. დ. ჩივაძემ, . ვ. ი. ლომაძემ, გ. ა. ანჩაბაძემ და კონფერენციის სხვა დელეგატებმა.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მისი ზრდის ტემპის დაჩქარების დიდ რეზერვებს შეიცავს შრომის და საგეგმო-ფინანსური დისციპლინის შემდგომი განმტკიცება. დისციპლინის სტატისტიკის მონაცემებით, 1978 წლის ცხრა თვეში ქალაქის მრეწველობის მუშაკთა სამუშაოზე გამოუცხადებლობამ 185 ათასი კაცდღე შეადგინა, აქედან 85 ათასი კაცდღე, ანუ 46 პროცენტი, უმიზეზო გაცდენებზე მოდის.

ქალაქის მრეწველობას მნიშვნელოვანი შინაგანი რეზერვები აქვს, და პარტიული ორგანიზაციის უპირველესი ამოცანაა მაქსიმალურად გამოიყენოს ეს რეზერვები, უზრუნველყოს სამრეწველო წარმოების მყარი ზრდა, მისი ეფექტიანობის ამაღლება, მუშაობის ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესება.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეათე ხუთწლედის დარჩენილი ორი წელიწადი განსაკუთრებით დაძაბული იქნება რესპუბლიკის ეკონომიკისათვის. წარმოების ზრდის ტემპი და მოცულობანი უფრო მეტია დასახული, ვიდრე 1976-1978 წლებში. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა რესპუბლიკამ პირნათლად შეასრულოს სკკპ XXV ყრილობაზე ნაკისრი ვალდებულებანი, მიაღწიოს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის შემდგომ დაჩქარებას.

დარწმუნებული ვართ, რომ რესპუბლიკის დედაქალაქის მუშათა კლასი ამ საქმეში თავის გადამწყვეტ სიტყვას იტყვის. უწინარეს ყოვლისა მივმართავთ ჩვენს სახელოვან, ჩვენს გმირ მუშათა კლასს, რომელიც მუდამ იყო და არის ჩვენი საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ძირითადი საწარმოო ძალა. პარტია გვაძლევალის, რომ სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემაში მუშათა კლასის წამყვან მდგომარეობას განსაზღვრავს მისი რევოლუციურობა, დისციპლინა, მისი ორგანიზებულობა და კოლექტივიზმი.

ჩვენი ისტორიის ყველაზე ძნელ, ყველაზე რთულ პერიოდებში, ჩვენი მუშაობის, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მთელი საქმიანობის ყველაზე პასუხსაგებ მომენტებში ყოველთვის მივმართავდით და მივმართავთ ჩვენს მუშათა კლასს და ყოველთვის ვგრძნობთ მის მხურვალე, ერთსულოვან მხარდაჭერას. ეს არის ჩვენი მტკიცე დასაყრდენი. და ახლა, მეათე ხუთწლედის გადამწყვეტ ეტაპზე, მტკიცედ გვჯერა: ჩვენი შესანიშნავი მუშათა კლასი, რომელიც განაგრძობს თბილისის პროლეტარიატის უჭკნობ საბრძოლო, რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს, როგორც ყოველთვის, იქნება საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის — ჩვენი ძვირფასი თბილისის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის ბრძოლის ავანგარდში.

თბილისს — საქართველოს დედაქალაქს — შეუძლია გახდეს, და გვწამს უთუოდ გახდება კიდეც შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ქალაქი! (ტაში).

III.

იმისათვის, რომ თბილისი სანიმუშო კომუნისტური ქალაქი გახდეს, იგი უნდა გამოირჩეოდეს არა მარტო შრომისადმი ადამიანთა კომუნისტური დამოკიდებულებით, არამედ აგრეთვე მაღალი კომუნისტური ყოფით, მაღალი კომუნისტური კულტურით.

შევეხებით ქალაქის სოციალური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების, მისი გაზრდილი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების, ქალაქის მშრომელთა ცხოვრების სოციალისტური წესის თანამიმდევრული სრულყოფის პრობლემებს.

თბილისის მაგალითი მოწმობს, თუ როგორ წლითიწლობით უმჯობესდება სოციალურ-ეკონომიკური პირობები, მრეწველობაში, მშენებლობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, მუშათა შრომის პირობები, როგორ მცირდება ხელის, ნაკლებკვალიფიციური და მძიმე ფიზიკური შრომის წილი; ყველაფერი კეთდება, რათა ადამიანის შრომა შემოქმედებითი იყოს, იზრდება მოსახლეობის ხელფასი და სხვა შემოსავალი, მაღლდება მოხმარების დონე, უფრო სრულად კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნა საქონელზე.

ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და ყველაზე მთავარი ასპექტი კვლავ სახიანო მშენებლობის ტემპის დაჩქარება და მშენებლობის ხარისხის ამაღლებაა.

მოგეხსენებათ, წარსულში თბილისის სახიანო მშენებლობა მეტად სერიოზულად ჩამორჩებოდა. 1971-1972 წლებში ფაქტიურად ჩაშლილი იყო საექსპლოატაციოდ საცხოვრებელი სახლების გადაცემის პროგრამის შესრულება. 1973 წლიდან მოყოლებული, განხორციელებულ ღონისძიებათა მეოხებით, საცხოვრებელი ფართობის, საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმების შესრულებაში გარკვეული გარდატეხა ხდება. მეათე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე ხაექსპლოატაციოდ დაიცა დაახლოებით 1.514 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. რამდენადმე გაუმჯობესდა სახიანო მშენებლობის ხარისხიც.

მაგრამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე აუთვისებელი დარჩა 15 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდება. არადა, ეს სახსრები ხომ ათიათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლების აშენებას ეყოფოდა.

სახიანო მშენებლობის დარგის ამოცანების განსაზღვრისას იმით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ სახიანო პრობლემა ჩვენში კვლავ უმწვავეს სოციალურ პრობლემად რჩება. მის გადასაწყვეტად სისტემატურად მთლიანად და გადაჭარბებით უნდა ვასრულებდეთ საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმებს, სრულად ვიყენებდეთ ასიგნებულ სახსრებს, ამასთან 370 ათასი კვადრატული მეტრი უნდა გამოვყოთ იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ ბარაკებსა და სარდაფებში ცხოვრობს. ეს ამოცანა ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ აუცილებლად არა უგვიანეს უახლოესი ხუთ წელიწადში უნდა გადაწყვიტოს!

სახიანო მშენებლობაში, უმთავრესი და უმნიშვნელოვანესია რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად მკვეთრად ავამაღლოთ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხარისხი. სამშენებლო საქმეში ხარისხობრივი მაჩვენებლების მნიშვნელობის შესახებ საერთოდ სანტერესოდ ილაპარაკა მშენებლობის მინისტრმა ამხ. ნ. ა. მედმარიაშვილმა. მაგრამ კარგი იქნებოდა, ამხანაგებს გული არ დაეარხეინებინათ იმით, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე „კარგი“ შეფასებით მიღებული სახლების რიცხვი რამდენადმე გაიზარდა, რადგან ეს შეფასებანი ყოველთვის არ ასახავს საქმის ნამდვილ ვითარებას.

როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ის ამბავი, რომ მოპირკეთებისა და სანტექნიკური სამუშაოები ნაჩქარევად სრულდება, სახუროო ნაკეთობანი დაბალი ხარისხისაა, ხოლო საცხოვრებელ სახლებს საექსპლოატაციოდ აბარებენ დიდი ხარვეზებით, რომელთა გამოსწორება, ჩვეულებრივად, ძალზე ჭიანურდება ხოლმე.

განა დრო არ არის, ამხანაგებო, ბოლო მოვუღოთ საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას? დევიზი: „თბილისური — მაშასადამე, ჩინებული!“ — ფართოდ უნდა გავრცელდეს სახიანო მშენებლობაშიც. **თბილისის მშენებლებთან, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, ქალაქის მთელი პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანად მიგვაჩნია საცხოვრებელი სახლები ჩაბარონ მხოლოდ „ფრიადი“ შეფასებით, მთლიანად აითვისონ გამოყოფილი სახსრები.**

ბევრ ინსტანციაში, მათ შორის პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქალაქო კომიტეტში, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში მრავლად მოდის საჩივრები იმის გამო, რომ სერიოზული ნაკლოვანებანია მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაში.

ახლახან ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილთან და სხვა ამხანაგებთან ერთად გავიარეთ ქალაქში, ვიმგზავრეთ საქალაქო ტრანსპორტით, ვიყავით მაღაზიებსა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებზე, ქალაქის ბაზრებში, ეესაუბრეთ ახალმოსახლეებს. ქალაქში ყურადღებით აკვირდებოდნენ ყველაფერს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხვა წევრებიც.

ბევრი რამ მოვისმინეთ ამ დღეებში: იმაზეც, რომ ახალმოსახლე ბინის გასაღების მიღებისთანავე იძულებულია გამოიძახოს სანტექნიკოსი, ხურო, მეპარკეტე... იმაზეც, რომ ჯერ კიდევ ხშირია შეფერხებები ცხელი და ცივი წყლის მიწოდებაში, გათბობაში. იმაზეც, რომ პრობლემა გაგდა უწესიერობთა აღმოფხვრა წყალსადენის ქსელში. ბევრი სახლის მცხოვრებლებმა გვითხრეს, რომ ცუდად, უხარისხოდ არემონტებენ სახურავებს.

ხალხი ჩივის, რომ სათანადო წესრიგი არ არის ტრამვაიში, ტროლეიბუსებსა და ავტობუსებში. უკონტროლობის შედეგად, მგზავრთა ეგრეთ წოდებულ უკონდუქტორო მომსახურებას დიდი ბოროტმოქმედება მოსდევს. მძღოლთა ნაწილი კვლავინდებურად უშუალოდ მგზავრისაგან იღებს საფასურს, ბილეთს კი არ იძლევა. ამის შედეგად, თუ გაყიდული ბილეთების რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელთ, მგზავრობრუნვის სახელმწიფო გეგმა 1978 წელს არ შესრულებულა. ამიტომ რეისში უშვებენ ნაკლები რაოდენობის ავტობუსებს, ვიდრე ეს საჭიროა, ფაქტიურად კი ისინი ხალხით არის ხოლმე გაჭედილი.

თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ზენიკალმა ამხ. გ. ი. გოგოლაძემ, მაგალითად, თქვა, რომ მეტისმეტად ბევრი ნაკლია თბილისელთა კომუნალურ მომსახურებაში. ცუდად მუშაობს საქალაქო ტრანსპორტი, სატელეფონო კავშირი.

იგივე თქვეს გუშინ დელეგატებმა ამხანაგებმა გ. ს. გაჩეჩილაძემ, შ. კ. ჯოხაძემ, ლ. ნ. შურდუკოვამ და მუშათა კლასის სხვა წარმომადგენლებმა. ამაზე ილაპარაკეს აგრეთვე აკადემიკოსმა

გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად!

(გაგრძელება)

პუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტშიც, იმიტომ, რომ თბილისს ახლაც არ ჰყოფნის საჯარო ფართობები, ცოტა შენდება სპეციალიზებული მაღაზიები, ნელა იზრდება უნივერსალური თვითმომსახურების მაღაზიების ქსელი, ცუდად არის დაყენებული საბავშვო საქონლის ვაჭრობა, თითქმის არა გვაქვს თანამედროვე მსხვილი სავაჭრო ცენტრები. ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილის მოხსენებაში გამოთქმული კრიტიკა იმის შესახებ, რომ ამ მიზნით ცოტა კაპიტალური დაბანდებანი გამოიყოფა, ვფიქრობთ, სავსებით დასაბუთებულია. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამ საკითხზე სპეციალურად უნდა იმსჯელოს.

ახლახან ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე განვიხილეთ თბილისში საახალწლო ვაჭრობის შედეგები, რომლის ორგანიზაციაში ბევრი სეროიზული ნაკლი და დასანანი ხარვეზი იყო. ბიუროზე პირუთვნელად და, მე ვიტყოდი, საკმაოდ მკაცრად ვილაპარაკეთ. ვაჭრობის სამინისტროში მომუშავე ამხანაგები, კვების მრეწველობის, აგრეთვე ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებში მომუშავე ზოგიერთი ამხანაგი იძულებული იყვნენ ბევრი მკვახე საყვედური მოესმინათ. სხვანაირად ვერც იქნება, როცა პასუხისმგებელი მუშაკები ყოველთვის ჯეროვნად არ ზრუნავენ მშრომელი ადამიანისათვის.

უკანასკნელ ხანს ბევრი რამ გაკეთდა ქალაქის ბოსტნეულით უზრუნველყოფისათვის, მაგრამ საქმე მარტო მისი რაოდენობა და ასორტიმენტი რადაა. უნდა ვიზრუნოთ ბოსტნეულის ხარისხისათვისაც, რათა მოსახლეობა უფრო იშვიათად დადიოდეს საკოლმეურნეო ბაზრებში. სხვათა შორის ჩვენს საკოლმეურნეო ბაზრებში წესრიგი მოიკოჭლებს.

ქალაქში მწვავედ იგრძნობა, რომ საზოგადოებრივი კვების ქსელი საკმარისად არ არის განვითარებული. თუმცა უკანასკნელი წლების მანძილზე ქალაქის მთელ რიგ საწარმოებში გაჩნდა კარგი, შეიძლება ითქვას, სანიმუშო მუშათა სასადილოები, მაგრამ მაინც, მთლიანად შესაძჩნევი ცვლილებანი მუშათა კვების ორგანიზაციაში ჯერჯერობით არ მომხდარა. ისევ ცუდად მუშაობენ სტუდენტთა სასადილოები. ჩვენ ეს არაერთხელ გვითქვამს, მაგრამ არც ვაჭრობის სამინისტრო, არც უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, არც უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებენ. და სულ ჰგონიათ, რომ ვიღაც სხვა მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს.

აქ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, თუ რა სწრაფად იზრდება რეპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობა. ასევე სწრაფად იზრდება ქალაქის მოთხოვნილება სურსათ-სანოვაგეზე: ხორცზე, რძეზე, ბერზე, ბოსტნეულზე და სხვ. მაგრამ ამ პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ამიტომ მშრომელთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. მუშათა და სტუდენტთა სასადილოების, სასკოლო ბუფეტების უზრუნველყოფისათვის საჭიროა უფრო სრულად გამოვიყენოთ შინაგანი რესურსები და შესაძლებლობანი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლაში ითქვა, რომ ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ ჯეროვნად ფაბრიკა-ქარხნების დამხმარე მეურნეობების, აგრეთვე მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობების შესაძლებლობებს.

ჯერჯერობით ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არა გვაქვს ზუსტად შემუშავებული სისტემა. მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების მიზნით, ქალაქის პარტიული ორგანიზაცია მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დამხმარე მეურნეობათა განვითარებას და აქ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებას. ჩემი აზრით, მხარი უნდა დაჭიროთ თბილისის საავიაციო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. ი. ლომაძის შესანიშნავ წინადადებებს.

ამასთანავე ყურადღება არ უნდა მოვაკლოთ კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარებას. ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა (კოოპერატივების) მუშაობის კოორდინაციის საბჭოს შექმნის შესახებ. ვფიქრობთ, რომ ამ ამხანაგობებისადმი ხელმძღვანელობის ასეთი ფორმა ხელს შეგვიწყობს ბევრი პრაქტიკული საკითხის ოპერატიულ გადაწყვეტასა და ამით ქალაქის მოსახლეობის საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებაში. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში თათბირზე დანაპირები უთუოდ შესრულდება.

უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ეს ჯერჯერობით ნაკლებად ეტყობა თბილისელთა ცხოვრების ყაიდას; საყოფაცხოვრებო მომსახურებას ჯერ კიდევ სათანადოდ არ შეუმსუბუქებია მოქალაქეთა, განსაკუთრებით ქალთა საოჯახო შრომა. ამხანაგებმა უაღრესად დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ საყოფაცხოვრებო სფეროს ობიექტების მშენებლობას, რადგან ქალაქზე პირველ შთაბეჭდილებას, როგორც მოგეხსენებათ, ქმნის სასტუმრო, სადალაქო, აბანო და ა. შ.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ის არის რომ ყოველნაირად გავზარდოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. ამ საქმეში დიდი როლი ეკუთვნის დედაქალაქს, რომელიც ასეთი საქონლის 40 პროცენტზე მეტს უშვებს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ქალაქის კვების, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები უშვებენ რესპუბლიკაში ამ დარგების მიერ გამომუშავებული მთელი პროდუქციის მესამედს. მართალი იყვნენ დღეს კონფერენციის ტრიბუნაზე გამოსული დელეგატები ამხანაგები ე. მ. ბიგანიშვილი და ე. ს. ხუაძე, რომლებმაც თქვეს, რომ უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებას. სავსებით მართებული და დასაბუთებული პრეტენზიებია.

განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ბავშვებისათვის. კარგია, რომ ეს პრობლემა იდგა დელეგატების, მთელი საქალაქო კონფერენციის ყურადღების ცენტრში. გუშინ კონფერენციის მოხაზილეებისათვის მშვენიერი კონცერტი გაიმართა. მადლობა უნდა ვუთხრათ ამ საუცხოო სალიმოს ორგანიზატორებსაც და მონაწილეებსაც. კონცერტის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ცხოვრების ნამდვილი დამამშვენებელი იყვნენ ბავშვები. როცა ვუსმენდით და ვუყურებდით, თუ რა მშვენივრად გამოვიდა თბილისის ყველაზე პატარა მოქალაქეთა შესანიშნავი გუნდი, შევნიშნე, რომ ბევრს თვალზე ცრემლიც კი მოადგა. ეს სიხარულის ცრემლი იყო. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ბავშვებმა ერთი რამ გვითხრეს, და თუ მათ ნათქვამს ჩვენს ენაზე, მოზრდილთა ენაზე ვთარგმნით, დაახლოებით ამას ნიშნავდა: „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ თქვენთვის, რაც შეგვიძლია: ვმღერით და ვცეკვავთ, სიხარულს განიჭებთ. თუ შეიძლება, უფრო მეტად იზრუნეთ ჩვენთვის, მეტი აშენეთ ჩვენთვის, მეტი საუკეთესო ხარისხის საქონელი გამოუშვით და როცა გავიზრდებით, ვალში არ დაგრჩებით: აგიშენებთ დასასვენებელ სახლებსაც, სანატორიუმებსაც, ღრმად მოხუცებულთა პანსიონატებსაც, ერთი სიტყვით ბედნიერ მოხუცებულობას შეგიქმნითო...“ **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში)**, მე მგონი, ფრიად ხელსაყრელი პიროობებია. უნდა დავეთანხმოთ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ჩვენი რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობის ვალია ყველაფერი იღონონ, რათა ჩვენი შვილების ბავშვობა ჯანსაღი და ბედნიერი იყოს: აშენონ ახალი სკოლები, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი, გახსნან გახანგრძლივებული დღის ჯგუფები, მეტი ბინრუნონ მოზარდი თაობის ჯანმრთელობისათვის, ფიზიკური აღზრდისათვის, ბავშვთა კვების გაუმჯობესებისა და საბავშვო სამრეწველო საქონლის წარმოების გადიდებისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის. ძალიან კარგია, რომ პასუხად მოწოდებისა „ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს!“ კონფერენციაზე გაისმა ლოზუნგი: „ბავშვებისათვის ჩვენ ყველანი ვაგებთ პასუხს!“.

მნიშვნელოვან გამოკითხვას საჭიროებს მშრომელთა სამედიცინო მომსახურება. კარგად უნდა დავუკვირდეთ, რა ხდება ქალაქის საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, დისპანსერებში, ჩვენს აფთიაქებში. სამწუხაროდ, აქაც მეტად ბევრი სერიოზული ნაკლია, და უფლება არა გვაქვს გვერდი ავუაროთ მათ. საქმე ხომ ჩვენი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ეხება.

დიდი ამოცანები დგას ქალაქის წინაშე სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური და ზოგადი განათლების დონის ამაღლების, მუშათა და სპეციალისტთა კვალიფიციური კადრების მომზადების გაუმჯობესების. მოთხოვნების შესაბამისად. ეს პრობლემები საინტერესოდ გააშუქეს გამოსვლებში ჩვენი კონფერენციის დელეგატებმა ამხანაგებმა ნ. შ. ვასაძემ და ლ. ი. შეწირიულმა, და მე მთლიანად ვეთანხმები მათაც და სხვა ამხანაგებსაც.

როცა საანგარიშო პერიოდში თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, აგრეთვე XXXV და XXXVI პარტიულ კონფერენციებზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულების პოზიციებიდან განვიხილავთ, უნდა შევეხოთ ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის გაწეულ მუშაობასაც. ეს მნიშვნელოვანია, რადგან დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ საქალაქო პარტიული ორგანიზაცია სუსტად ებრძოდა ჩვენი საზოგადოებისათვის ისეთ უცხო მოვლენებს, როგორიც არის სახელმწიფო საკუთრების დაცვა, სპეკულაცია, მექრთამეობა, მუქთახორობა, და რომ მათი დაძლევისათვის ჯეროვნად არ იყვნენ დარაზმული კომუნისტები, კომკავშირელები, საზოგადოებრიობის მთელი ძალები, ადმინისტრაციული ორგანოები.

მოხსენებასა და კამათის ნაწილად ამხანაგების გამოსვლებში კერძოდ, ამხანაგების ვ. ს. ჯანჯღავა, ვ. ა. რაზმაძის, რ. ა. გოგლიძის, ე. მ. ბიგანიშვილის, დ. რ. კუხალაშვილის გამოსვლებში და განსაკუთრებით აკადემიკოს ა. დ. ზურაბაშვილის მოკლე, ძალზე საინტერესო გამოსვლაში აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. მიუხედავად ამისა ღონმნაზავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა არ გვაკმაყოფილებს. და ასეთ ვითარებას ვეღარ შეეგუებიდით. საზოგადოებრიობა მოითხოვს ქალაქში დამყარდეს სათანადო წესრიგი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ეს წესრიგი, ბოლოს და ბოლოს, დამყარდეს!

რამდენიმე დღის შემდეგ გაიმართება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც მოვისმენთ ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ. იქ ყველა ამ საკითხზე უფრო საფუძვლიანი ბაზა გვექნება, ახლა კი მინდა ვთქვა, რომ პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა უნდა მიაღწიონ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის მაქსიმალურ ეფექტიანობას.

სრულიად შეურიგებელი, გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ პარაზიტიზმის ფაქტების წინააღმდეგ, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით ქალაქში. თუმცა მუქთახორებზე ზემოქმედების ადმინისტრაციული ღონისძიებანი რამდენადმე გაძლიერდა, მდგომარეობა კვლავ ძალზე შემაშფოთებელია. პარტიულმა ორგანიზაციამ მუქთახორობის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა დარაზმოს ქალაქის მთელი საზოგადოებრიობა, ყველა კომუნისტი და ყველა მშრომელი.

თითოეული თბილისელი, თითოეული მოქალაქე უნდა ჰაუბას ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლაში, თითოეული თვალისჩინი-ვით უნდა უფრთხილდებოდეს რესპუბლიკის დედაქალაქის სახელსა და ღირსებას. თუ ნამდვილი თბილისელი ხარ, თუ შენ-თვის ძვირფასია მშობლიური ქალაქი, თუ ნამდვილად გიყვარს იგი, არა მარტო უნდა სარგებლობდე იმ სიკეთით, რომელსაც ხალხი ქმნის, არამედ თბილისს უზიარებდე საკუთარი სულის ნაწილს, ცდილობდე იგი გადაალეკიო სანიმუშოდ, პირადად ებრძოლო იმ არაჯანსაღ ელემენტებს, რომლებიც ჩირქს სცხებენ მის სახელს, ლახავენ მის პრესტიჟს, ებრძოლო ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ყველა ანტიპოდს, ამაზე ძალიან კარგად, მეტად შთამბეჭდავად ილაპარაკეს დღეს აკადემიკოსმა ა. დ. ზურაბაშვილმა და პოეტმა მ. თ. ფოცხიშვილმა.

ამრიგად, თბილისის საქალაქო კომიტეტის წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ამოცანები დღესაც აქტუალურია და ხანგრძლივი პერიოდით განსაზღვრავს საქალაქო პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ქალაქი სანიმუშო ვერ იქნება, თუ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი არ ექნა.

საქალაქო მეურნეობა, ქალაქის ცხოვრება დიდი და რთული მექანიზმია და მისი მართვა იოლი არ არის, ამ გარემოებას საგანგებოდ აღვნიშნავ, რადგან ზუსტად ხუთი წლის წინათ, თბილისის XXXV საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, და ეს გაიხსენეს დღეს ამხანაგებმა თ. ნ. მენთეშაშვილმა და გ. დ. გაბუნიამ, დედაქალაქის კომუნისტთა წინაშე ძირითად ამოცანად დაისახა მდგომარეობის ბატონ-პატრონი გამხდარიყვნენ, ესწავლათ თბილისის სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების უნარიანი მართვა. ამასთან აღინიშნა, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომს უნდა დაეხვეწა ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, შეექმნა ქალაქის მეურნეობისა და კულტურის მართვის ერთიანი მოქნილი მექანიზმი, უფრო გაბედულად გამოეყენებინა მართვის უახლესი ფორმები, დაენერგა შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაცია. თორემ, ითქვა მაშინ, ჩვენ ვერასოდეს ვერ გავხდებით მდგომარეობის ბატონ-პატრონები, ვერასოდეს ვერ დავეუფლებით ვითარებასო.

მაგრამ ამხანაგებს საქალაქო საბჭოს აღმასკომში სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ ამ რეკომენდაციებიდან. ამიტომ დღესაც გვიხდება იმის თქმა, რომ **ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს მოქმედების საჭირო სინქრონულობას, ჯერ კიდევ არ არის საქალაქო მეურნეობის მართვის ერთიანი მექანიზმი.**

რა თქმა უნდა, თბილისის პარტიული ორგანიზაცია პასუხს აგებს საქმის ვითარებისათვის საქალაქო მეურნეობაში, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობს საბჭო. სწორედ ამიტომ პარტიულმა ორგანოებმა საბჭოების მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ როგორც სახელმწიფო მშენებლობის დედმნიშვნელოვან დარგს. ახლა, როცა საქალაქო და რაიონული საბჭოების უფლებები შესამჩნევად გაფართოვდა, ხოლო მათი მატერიალური შესაძლებლობანი ბევრად გაიზარდა, ძალზე საჭიროა სწორი პარტიული ხელმძღვანელობა გავუწიოთ საბჭოებს, სამეურნეო ორგანოებს, მათი მგავრობა კი არ ვეცადოთ, არამედ დღენიადაგ წარვმართოთ და სრულყოთ მათი საქმიანობა, მათი მუშაობის სტილი, დროზე დაეხმაროთ და, თუ საჭიროა, გავუსწოროთ.

მოგეხსენებათ, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომში ახალი ამხანაგები მივიდნენ. ესენი არიან ენერგიული, ინიციატივიანი მუშაკები, და იმედი გვაქვს, რომ ისინი თავს გაართმევენ დაკისრებულ ამოცანებს, ძალ-ღონეს, ენერგიასა და მუყაითობას არ მოაკლებენ იმას, რომ თბილისი კიდევ უფრო დამშვენდეს და კეთილმოწყობილი, ნამდვილად სანიმუშო დედაქალაქი გახდეს.

თავის მხრივ, პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ამ საქმეში საქალაქო ორგანიზაციებს ყოველნაირად დაუჭერენ მხარს და დაეხმარებიან. ამავე დროს უფრო მკაცრადაც მოვკითხავთ. ჩვენ ვიცით, რომ ამხანაგები მინდობილ საქმეს მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ, ეს კი წარმატების საწინდარია.

თბილისის პრობლემები მარტო საქალაქო კი არა, საერთო რესპუბლიკური პრობლემებიც არის. იმაზე, თუ როგორ გამოიყურება ჩვენი დედაქალაქი, ბევრად არის დამოკიდებული რესპუბლიკის პრესტიჟი, და ეს არ უნდა დავიწყონ არც ქალაქის, არც რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა.

ამიტომ დღეს საჭიროდ მიგვაჩნია საგანგებოდ აღვნიშნოთ ყველა სამინისტროს, ყველა რესპუბლიკური უწყების როლი დედაქალაქის საქმის ვითარებაში. გვინდა, რომ თითოეული მინისტრი, თითოეული მინისტრის მოადგილე, რესპუბლიკური მასშტაბის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი ღრმად განიმსჭვალოს არა მარტო პირადი მონაწილეობის შეგნებით, არამედ პირადი პასუხისმგებლობითაც ყველა იმ საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტისათვის, რომლებიც დაკავშირებულია თბილისელთა ცხოვრებასთან და შრომასთან, მათს საჭიროებებთან და საჩივრებთან.

სამწუხაროდ ყოველთვის ვერ ვგრძნობთ ამ პირად მონაწილეობასა და პირად პასუხისმგებლობას. ზოგჯერ პირდაპირ გიკვირს, როგორ შეუძლია, მაგალითად, მშვიდად ეძინოს ყველა ჩვენგანისათვის დიდად პატივცემულ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს. როცა იცის, რომ ქალაქის ტრანსპორტი ასე ცუდად მუშაობს?! ეტყობა თეიმურაზ დავითაშვილი აშვიათად ან სულაც არ სარგებლობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით. სამწუხაროა კი! მაშინ თვითონ გამოცდიდა, რა გაჭირვებაში არიან თბილისელი მოქალაქენი. რა შეიძლება ითქვას კავშირგაბმულობის სამინისტროს საქმიანობაზე, თუ დედაქალაქშიც კი, სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს კავშირგაბმულობის მინისტრი ამხ. ვ. ი. კობახიძე, ასე ცუდად მუშაობს საქალაქო კავშირგაბმულობა, ძალზე ცუდად მუშაობს ფოსტა? ეტყობა, მასაც თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის შესაძლებლობათა გამოყენების საშუალება აქვს და არ სჭირდება საქალაქო სატელეფონო ქსელი.

განა შეიძლება თავიის საქმიანობის მაღალი შეფასების იმედი ჰქონდეს ვაჭრობის მინისტრს ამხ. მ. ა. მეგრელიშვილს, თუ დედაქალაქში, სადაც ცხოვრობს და მუშაობს სამინისტროს მთელი ხელმძღვანელი შემადგენლობა, აბგარიშსა და ზომა-წონაში ატყუებენ მომხმარებელს, სადაც ახალი წლის წინ შეფერხდა ხორცის ვაჭრობა იმის გამო, რომ ამხანაგებმა თავი ვერ მოაბეს ამ საქმეს, თორემ რესურსები კი გვქონდა. როგორ შეუძლიათ მშვიდად ეძინოს, მინისტრებს და მათთან მომუშაველებს, როცა ასე ცუდად არის საქმე მუშათა და სტუდენტთა სასადილოებში, სასკოლო ბუფეტებში და სხვაგან? როგორც ჩანს, ამხანაგი მამიაც იშვიათად მიმართავს საზოგადოებრივი კვების ობიექტების მომსახურებას.

ამ დღეებში ბევრი თბილისელი გრიპით არის ავად, თბილისის აფთიაქებში კი გაჭირა საჭირო მედიკამენტები, ხოლო მთავარი საფთიაქო სამმართველოს უფროსი ამხ. გ. მ. ხანთაძე და ჯანმრთელობის მინისტრი ამხ. გ. გ. ლეკავა, რომლებიც ასევე თბილისში ცხოვრობენ, დუმან და განგაშს არ ტეხენ.. მართალია, ამხ. გ. გ. ლეკავა ახალი მინისტრია, მაგრამ ახალი ამხანაგებიც უნდა გავაკრიტიკოთ. ეს დაუხმარება მათ საბოლოოდ მოიშორონ თავიდან მანკიერი მეთოდები, რომლებიც შემკვიდრეობად ერგოთ, სანამ ეს მეთოდები ძველ-რბილში არ გასულდმიათ.

იგივე შეიძლება ითქვას ამხ. კ. ე. კეთილაძეზეც, ამხ. ა. მ. ბარაბაძეზეც, თუმცა ეს უკანასკნელიც ცოტა ხანია რაც მუშაობს. სრულიად გაუგებარია როგორ შეგიძლიათ მშვიდად ეძინოთო თქვენ, თქვენთან ერთად კი ყველა ჩვენგან, რესპუბლიკის ქალაქის ხელმძღვანელებს, როცა რესპუბლიკის დედაქალაქში ჯერ კიდევ არ არის სათანადო საზოგადოებრივი წესრიგი. არა, არა გვაქვს მშვიდად ძილის უფლება! საქალაქო კომიტეტმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და ცენტრალურმა კომიტეტმაც სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი ამ დიდად მნიშვნელოვანი საკითხის პრაქტიკულ გადაწყვეტას.

იქნებ უფლება მივცეთ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომ ქალაქიდან ამოწეროს რესპუბლიკური მასშტაბის ის ხელმძღვანელები, რომლებიც ასე ცუდად ზრუნავენ დედაქალაქისათვის. **(სიცილი, გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).**

რაც შეეხება ამხ. შ. ა. თითბერიძეს, რომელზეც ამხ. რ. ა. გოგლიძემ ილაპარაკა, ამაში მეტად ყურადღებით უნდა გავერკვეთ. ჯერჯერობით კი სრულიად გამოკვეთილად შეიძლება ითქვას, რომ წყნეთის სახლი მეტად უხეში დარღვევებით არის აშენებული, და მე, ისევე როგორც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ყველა წევრი მხარს ვუჭერ წინადადებას, რომ იგი გადაეცეს გაერთიანება „განთიადის“ საბავშვო ბაღს. პარტიულ კომისიას კი უნდა დაევალოს შეისწავლოს და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოახსენოს ამ საქმის ყველა დანარჩენი ასპექტი.

ყველას ძალიან გვიყვარს ჩვენი ძველი და მარად ახალგაზრდა თბილისი, ვუფრთხილდებით მის სახელს, მის ღირსებას აქ ჩვენთვის ყველაფერი ძვირფასია, ყველაფერი ახლობელია, მაშ, მოდით ჩვენი სიყვარული ქალაქისადმი გადავაქციოთ მუდმივ, ყოველდღიურ და დაუცხრომელ ზრუნვად მისთვის, ყველაფერი ვიღონოთ, რათა იგი ყოველმხრივ ნამდვილად სანიმუშო გახდეს.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ერთ-ერთი ამოცანა ის არის, რომ კომპეტენტურად დაადგამაროს დედაქალაქის განვითარება, მიაღწიოს დარგობრივი და ტერიტორიული გადაწყვეტების, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ჰარმონიულ შეხამებას. საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ მოლიანად ქალაქს, ისევე როგორც ცალ-ცალკე მის თითოეულ რაიონს, თითოეულ საწარმოსა და გაერთიანებას ჰქონდეს თავისი კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაზუსტებული გეგმები.

დიდი და სერიოზული ამოცანები უნდა გადაწყვიტონ ჩვენმა ქალაქმშენებლებმა, სრულყონ ქალაქის დაგეგმარება, იხელმძღვანელონ ქალაქისა და მასში შემავალი დასახლებების მცხოვრებთა კეთილდღეობისა და ულტრის დონის, შრომისა და ყოფის პირობების შემდგომი დახსლოების ამოცანებით.

თავის დროზე გლდანის საცხოვრებელი მასივის მშენებლობაში დაშვებული იყო ბევრი სერიოზული ხარვეზი, რის შედეგად აქ შეიქმნა ძალიან დიდი დისპროპორციები მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების სფეროში. ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებო დადგენილება მიიღო. შედარებით მოკლე დროის მანძილზე გლდანში ფრიად სასიხარულო გარდაქმნები მოხდა: შესამჩნევად გაუმჯობესდა კომუნალური, სავაჭრო, საყოფაცხოვრები, სამედიცინო და სხვა სახეობის მომსახურება, შეიქმნა სპორტული და ბავშვთა მოედნები, გაყვანილია ტრამვაის ხაზები, აშენდა საკურაო აუზი, კაპიტალურად შეკეთდა უბანთშორისი და შიდასაუბნო გზები, განხორციელდა სხვა ღონისძიებანი, გავიყვანთ მეტროს ხაზს.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თბილისში არის სხვა საცხოვრებელი მასივებიც, მიკრორაიონები და დასახლებები, როგორიც არის ვარკეთილი, ვაზისუბანი, „საქსოფლმანქანის“, საქმიდროენერგომშენის, მეტრომშენის დასახლებანი, სადაც აგრეთვე დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს კეთილმოწყობის, მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების საკითხები.

ერთხელ უკვე ვთქვით და დღესაც უნდა გავიმეოროთ: **მოდით, ამხანაგებო, ისე მოვიქცეთ, რომ რესპუბლიკის დედაქალაქი ყველაზე სწორი, ყველაზე რაციონალური და ოპტიმალური არქიტექტურული გადაწყვეტების თავისებური ეტალონი, საშენებლო ხელოვნების ეტალონი, მწვანე მშენებლობის ეტალონი, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მაღალი კლასის მქონე თანამედროვე კეთილმოწყობილი ქალაქის ეტალონი გახდეს. (ხანგრძლივი ტაში).**

IV.

დღეს საჭირო აღარ არის დაწვრილებით გავარჩიოთ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები. ამაზე ლაპარაკი იყო მოხსენებებში, ძალიან კვალიფიციურად გაშუქეს ეს საკითხები თავიანთ გამოსვლებში ამხანაგებმა ა. ი. აზიროვმა, დ. რ. კუხალაშვილმა და სხვა პარტიულმა მუშაკებმა. ამ პრობლემებზე ვიმსჯელებთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალურ პლენუმზე, რომელიც საქართველოს პარტორგანიზაციაში პარტიული მუშაობის, საკადრო პოლიტიკის სტილისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებს მიეძღვნება.

პარტიული მუშაობის, მისი შემოქმედებითი ხასიათის შესახებ ძალიან კარგად ილაპარაკა თავის შესანიშნავ, ღრმად პარტიულ, პოლიტიკურად შინაარსიან გამოსვლაში ჩვენმა ცნობილმა პოეტმა, რესპუბლიკაში პატივცემულმა ადამიანმა მორის ფოცხიშვილმა. დღევანდელი ეს გამოსვლა მარტო იმიტომ კი არ მინდა აღვნიშნო, რომ მისი ღრმა შინაარსი გამოხატა მკაფიო მხატვრული ფორმით, არამედ იმიტომ, რომ მასში ისახა პარტიული მუშაობის სპეციფიკის კარგი გაგება რაც გამოიხატება ადამიანებთან მუშაობის, თითოეულის გონებასა და გულში ჩაწვდომის უნარით. **(ტაში).** ეს ძალიან საგულისხმო მოვლენაა: პარტიული მუშაობის პრობლემებს თანდათანობით ეზიარება შემოქმედებითი შრომის სულ უფრო მეტი ადამიანი, და ეს ნამდვილად გვახარებს.

ვუბრუნდები ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის საკითხს და მინდა გამოვთქვა იმედი, რომ დედაქალაქის პარტიული ორგანიზაცია ყველაზე აქტიურ, ყველაზე ენერგიულ მონაწილეობას მიიღებს პლენუმისათვის მზადებაში. ამ პლენუმს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და დიდ იმედებსაც ვამყარებთ იმაზე, რომ მისი გადაწყვეტილებანი ხელს შეგვიწყობს კიდევ უფრო თანამიმდევრულად, კიდევ უფრო მტკიცედ დავნერგოთ ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკაში მუშაობის ნამდვილად ლენინური სტილი, პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები.

აქ, დღევანდელ კონფერენციაზე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში, რესპუბლიკის დედაქალაქშია თავმოყრილი ჩვენი უდიდესი იდეოლოგიური ძალები, თბილისშია ძირითადი სამეცნიერო ცენტრები რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეთაურობით. თბილისშია ბევრი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი, სკოლა, პროფტექნიკური სასწავლებელი, თბილისშია კულტურის დიდი დაწესებულებანი, შემოქმედებითი კავშირები, წრენის გამომცემლობანი, ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა. მათ განკუთვნება დიდმნიშვნელოვანი როლი პარტიიდან ორგანიზაციების მთელ იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში, ადამიანთა კომუნისტური შეგნების, იდეური მრწამსის ჩამოყალიბებაში, აღზრდის მთელი საქმის დაყენებისადმი კომპლექსურ მიდგომაში.

ამიტომ, რა თქმა უნდა, შემთხვევითი კი არა, სრულიად კანონზომიერია, რომ კონფერენციაზე ასე მწვავედ, ასე საქმიანად, ღრმად და პრინციპულად აღიძრა საქალაქო პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური ცხოვრების პრობლემები. მომხსენებელიც და ამხანაგებიც ე. კ. ხარაძე, ნ. ი. ლაღიძე, ნ. შ. ვასაძე, გ. დ. ლორთქიფანიძე, ი. ნ. ხუციშვილი, რ. ვ. გორდეზიანი, ლ. ი. მგალობლიშვილი, ლ. ი. შეწირული, მ. თ. ფოცხიშვილი, ნ. ს. ჯანაშია, ა. დ. ზურაბაშვილი, თითქმის ყველა ორატორი რამდენადმე შეეხნენ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს.

და სწორედ დღევანდელი კონფერენცია ძალზე

გადავაქციოთ თბილისი საერთაშორისო კომუნისტურ ქალაქად!

(დასასრული)

არის, რომ ჩვენი კომკავშირელები, ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები ყოველთვის სამეუნრნეო და კულტურული მშენებლობის ყველაზე გადამწყვეტ, ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე მიდიან, იქ არიან, სადაც საჭიროა ჭაბუკური, მგზნებარე გული, სადაც საჭიროა ახალგაზრდული შეუპოვრობა და უდრეკობა, ენთუზიაზმი და შემოქმედება. (ტაში).

ძალიან კარგია, რომ ჩვენს კონფერენციაზე ასეთი საფუძვლიანი, ასეთი სერიოზული სკა-ბაასი იყო ჩვენი ახალგაზრდა თაობის აღზრდის პრობლემებზე, ჩვენს სტუდენტობაზე, რომელიც თავისი სწავლით, შრომით, საზოგადოებრივი და მეცნიერული მუშაობით აქტიურად მონაწილეობს კომუნისტურ მშენებლობაში.

დღევანდელი სტუდენტობა ის არ არის, რაც რამდენიმე წლის წინათ იყო. მისი შემადგენლობა ბევრად უფრო უკეთესია და ახლა იგი გაცილებით უკეთეს არის მომზადებული. ხომ ცნობილია, რომ წინათ, პროტეკციონიზმისა და ბოროტმოქმედების ვითარებაში უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში არცთუ ისე ცოტა უღირსი ხვდებოდა.

ჩვენ, როგორც ყოველთვის, გასაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდას, ჩაუნერგოთ მას საუკეთესო ადამიანური თვისებები, ყოველივე ის, რითაც გამოირჩევა ნამდვილი მებრძოლი, იდეურად მტკიცე, ვეჟაკი და მამაცი, გამოწრთობილი კომუნიზმის მშენებელი. ნუთუ საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენ, უფროსი თაობის ადამიანებს, ძლიერ, მართლაც რომ მამობრივად შეგვტკივა გული, როცა ვამჩნევთ თვისებებს, რომლებიც ბოლოდროს ახალგაზრდა ხალბეთა ადამიანის სახელსა და ღირსებას. ყველაზეა ეს ჩვენ ძლიერ ახლოს მიგვაქვს გულთან და ღრმად განვიცდით.

ძალიან გვაწუხებს, ნამდვილად გვაღელვებს, მაგალითად, ის, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა, თუმცა ისინი ძალზე ცოტანი არიან, ჩამორჩენილი შეხედულებისა და აზრების, ზოგჯერ კი ბურჟუაზიული პროპაგანდის, ბურჟუაზიული კულტურის გავლენის ქვეშ ექცევა. ზოგიერთ მათგანს ჯერჯერობით წარმოდგენა არა აქვს ისეთ დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებზე, როგორიც არის სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოებში პიროვნების თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა პრობლემები და სხვა პრინციპული საკითხები. გასაგებია, რომ ისინი ხანდახან პოლიტიკურ უმეფიერობას იჩენენ.

რა გამოდის? ჩვენს სასწავლებლებში არიან ხელმძღვანელებიც, პროფესორებიც და დეკანთა მოადგილეებიც, დირექტორთა მოადგილეებიც აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, არის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, მუშაობენ სკკპ ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის და სხვა კათედრები. ეს იდეურ-აღმზრდელობითი ინსტიტუტების მთელი კომპლექსია. მაშ, როგორ ხდება, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის ზოგიერთი წარმომადგენელი პარტიული გავლენის გარეშე რჩება და ასე ადვილად ექცევა კომუნიზმისათვის უცხო შეხედულებების ზეგავლენის ქვეშ? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ზოგან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა ფორმალურად მიმდინარეობს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ზოგიერთი მასწავლებელი კი, შეიძლება ითქვას, მოსაჩვენებლად, უსულგულოდ ეკიდება თავის პარტიულ მოვალეობას?

მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება მარტო იმას არ ნიშნავს, რომ კაცმა მხოლოდ თარიღები და მოვლენები დაიხსომოს. საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების, და არა მარტო საზოგადოებრივი მეცნიერებ ი ს მასწავლებლების, არამედ ყველა პროფესორის, ყველა დოცენტის, ყველა მასწავლებლის, ყველა პედაგოგის ძირითა დ ი ამოცანაა აღზარდონ ახალგაზრდობა ლენინის საქმის უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები გახდნენ ნამდვილი საბჭოთა პატრიოტები და ინტერნაციონალისტები. კომუნისტური მრწამსი ხომ, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკული მოქმედების შენაერთობია.

ჩვენ უნდა განვასხვავოთ, ზუსტად გავიჯნოთ სად არის ნამდვილი პატრიოტიზმი, საკუთარი ხალხის ჭეშმარიტი, დიდი, ძლიერი სიყვარული და სად — ეროვნული შეზღუდულობა, ეროვნული კარჩაკეტილობა; სად არის ნამდვილი ინტერნაციონალიზმი და სად — კოსმოპოლიტიზმი; სად არის აქტიური, საჭირობოროტო, მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები, რომლებიც ჩვენს ადამიანებს, ჩვენს ხალხს აღელვებს, და სად — გამოგონილი „პრობლემები“, რომლებსაც თავს გვახვევენ ზოგ-ზოგები, რათა ხელი შეგვიშალონ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ძირითადი ამოცანების გადაწყვეტაში; და, ბოლოს, სად არის ის გულწრფელი სურვილი, რომ დაეხმარონ ხალხს ჩვენი ძლევამოსილი წინსვლის ნაკლოვანებათა და სიძნელეთა დაძლევაში და სად — კარიერიზმი, დემაგოგია და საკუთარი თავის გმირად გასაღების დაუოკებელი წყურვილი. ვიცით, ვიცით, ამ „გმირების“ ფასი.

ვერაფერი სახელი მოიხვეჭეს ამასწინანდელი სასამართლო გარჩევის „გმირებმა“ — ზ. გამსახურდიამ და სხვებმა. იქნებ დღეს არც კი ღირს მათზე ლაპარაკი, რომ მხიარული, ამაღლებული გაგწყობლება არ გავუფუჭოთ დელეგატებს. მაგრამ არც უთქმელობა შეიძლება და, თუმცა ისინი ერთეულები არიან, ვერ გავჩუმდებით, რადგან გული შეგვტკივა ყოველი კაცისათვის, ყოველი კაცის ბედი გვაწუხებს.

ჩვენ გვაწუხებს თვით ასეთი ანომალური მოვლენების გაჩენის ფაქტი. როგორ მოხდა, რომ ჩვენს დროში, ჩვენს საბჭოთა პირობებში სოციალიზმის მტრებმა გამოგვგლიჯეს ჩვენი საბჭოთა ადამიანი და იგი ჩვენი საზოგადოების ანტიპოდად გადააქცეს? შემდეგ ამ გზაცდენილმა ადამიანებმა გულწრფელად მონანიეს თავიანთი საქციელი და დიდი ბოდიშებიც მოუხადეს თავის ხალხს მიყენებული ტკივილისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ბოდიშები და მონანიებანი გულწრფელი იყო და ასეთი გულწრფელობა საშუალებას გვაძლევს ამ ადამიანების მომავალზე *ვიზრუნოთ.

საკითხი დღეს სხვა სიბრტყეზე, სხვა ასპექტით ისმება. სად იყვნენ კომუნისტები, სად იყვნენ კომკავშირელები, სად იყვნენ ამ ადამიანთა კოლეგები და, ბოლოს, სად იყვნენ მათი მშობლები, უახლოესი მეგობრები? ეს, ამხანაგებო, მარტივი საკითხი არ არის. და მთლად გასაგები ვერ არის, რატომ მოხდა, რომ პარტიის კალინინის რაიკომის მდივანს ამხ. ლ. ი. მგალობლიშვილს, პატივცემულ კაცს, რომელიც საერთოდ კარგად გამოვიდა, კრინტიც კი არ დაუძრავს აქ, ამ ფაქტებზე, თუმცა-და ისინი სწორედ მის რაიონში მოხდა? იგი ხომ მოვალე იყო წამოეჭრა ეს საკითხიც. თავის დროზე ჩვენ ვესაუბრეთ მას, ვუთხარით, რომ საჭიროა მეტი პრინციპულობა. საერთოდ იგი ძალიან კარგი კაცია, პატიოსანი, კეთილსინდისიერი, ერუდირებული მუშაკია. აი, ცოტა მეტი გამბედაობა და პრინციპულობაც რომ ჰქონდეს, მთლად კარგი იქნებოდა. ყველაზე უტყუარი პოლიტიკა ხომ პრინციპული პოლიტიკაა.

ამხანაგებო!

ინტერნაციონალიზმის სახელოვანი ტრადიციებით იზრდებოდა საქართველოს კომუნისტური პარტია და ამ ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, უწინარეს ყოვლისა, თბილისის პარტიული ორგანიზაციის მთელი საქმიანობა.

თქვენ ყველას გახსოვთ, მაგრამ მოდით, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ თუ რა მაღალი შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა მრავალეროვანი კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ერთობლივ რევოლუციურ ბრძოლას. ა. მ. გორკისადმი წერილში ვლადიმერ ილიას ძე წერდა: „ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები+სომხები+თათრები+რუსები ათწლეულზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთად ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი გადაწყვეტა“.

ჩვენთვის ეს ახლაც ეროვნული საკითხის ერთადერთი გადაწყვეტაა. თბილისში დღესაც ერთად, ერთიან კომუნისტურ ორგანიზაციაში მუშაობენ 60 ეროვნების წარმომადგენლები. ამრიგად, თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობა თვალსაჩინოა ადასტურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — ინტერნაციონალისტ ლენინელთა პარტიის ინტერნაციონალური არსს.

დღეს კმაყოფილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისის პარტიული ორგანიზაცია, ისევე როგორც მთლიანად საქართველოს კომპარტია, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, კომუნისტ თანამოაზრეთა მებრძოლი ამხანაგობის, მშრომელთა ძმური მეგობრობის განსახიერებაა. (ტაში).

ჩვენმა პარტიამ მიაღწია იმას, რომ ინტერნაციონალიზმი ერთი მუჭა კომუნისტების იდეალიდან გადაიქცა ყველა ერისა და ეროვნების მილიონობით საბჭოთა ადამიანის ღრმა რწმენად და ქცევის ნორმად. ეს, როგორც ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა, ნამდვილი რევოლუციური გადატრიალებაა საზოგადოებრივ შეგნებაში, რომლის მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შეავფასოთ.

აი რატომ არის, რომ თბილისელი კომუნისტები, როგორც ამას ლენინი მოითხოვდა, უწინარეს ყოვლისა, მკაფიო და პრინციპული პოზიციას უნდა დადგნენ ეროვნულ საკითხში, არ დაუშვან ამ მხრივ არავითარი შეფასვათი და მოდუნება, დაუნდობლად ებრძოლონ ყოველგვარ ნაციონალისტურ და შოვინისტურ გამოვლინებას, როგორც ამას ლენინი მოითხოვდა, არ შეურიგდნენ კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკიდან არავითარ გადახვევას, როგორც ამას ლენინი მოითხოვდა. მტკიცედ დაიცვან და შემოქმედებითად განავითარონ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრება მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისა და პარტიის ეროვნული პოლიტიკის საკითხებზე.

ძალიან კარგია, რომ რესპუბლიკის მეცნიერებთა აკადემიაში, როგორც ეს ამხ. ე. კ. ხარაძემ გვაცნობა, ხელი მოჰკიდეს ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის ზოგიერთი თეორიული ასპექტის დამუშავებას.

ამრიგად, სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად თბილისის გადაქცევისათვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს მშრომელთა, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მოზარდი თაობის ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერებას, რადგან თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღინიშნა, რომ მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში სათანადო მნიშვნელობა არ ენიჭებოდა ამ საქმეს.

პარტიის XXV ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში კი ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა ქმაყოფილებით აღნიშნა, რომ ამჟამად სწორი დასკვნებია გამოტანილი და რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო ინიციატივიანად და ფართოდ წარმართეს მუშაობა მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის და რომ ბოლო ეღება ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ცალეული გამოვლინებებს.

სანიმუშო კომუნისტური კულტურის, შრომისა და ყოფა-ცხოვრების ქალაქად თბილისის გადაქცევა მხოლოდ მეზნებარე პატრიოტებსა და მტკიცე ინტერნაციონალისტებს შეუძლიათ, რადგან კომუნისტური ქალაქი, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა პატრიოტებისა და ინტერნაციონალისტების ქალაქია. (ტაში).

როგორც იტყვიან, ცხრა მთას იქით არ არის რესპუბლიკის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენები — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავი, მე-200 წლისთავი გეორგიევსკის ტრაქტატისა, რომელმაც დასაბამი მისცა რუსეთთან საქართველოს შეერთებას, და მთელი რიგი სხვა თარიღები. ეს იუბილეები მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით თბილისელ მშრომელთა აღზრდისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ.

თბილისი მეგობრობისა და ძმობის ქალაქია. კულტურის მძლავრი კერა, პოეზიის, მოწინავე მეცნიერების, პროგრესული საზოგადოებრივი აზრის დედაქალაქია.

აქ, თბილისში, მოღვაწეობდნენ გენიალური შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და ბევრი ჩვენი სხვა სახელოვანი მამულიშვილი...

აქ, თბილისში, ქართული პროფესიული თეატრის სცენიდან რევოლუციის დიდ სამართლეს უქადაგებდნენ მასებს კოტე მარჯანიშვილი, რაზიკ ძალიან საინტერესოდ ილაპარაკა გუშინ ამხანაგმა გ. დ. ლორთქიფანიძემ, სანდრო ახმეტელი, აკაკი ხორავა, სერგო ზაქარაიძე, ქართული კინემატოგრაფის ეკრანიდან კი ნიკოლოზ შენგელაია და მიხეილ ჭიაურელი...

აქ, თბილისში, ქმნიდნენ მომხიბლავ მელოდიებს ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი, თავიანთ უბადლო ტილოებს ხატავდნენ ნიკო ფიროსმანაშვილი, დავით კაკაბაძე და ახლა ლადო გუდიაშვილი...

აქ, თბილისში, დააარსეს სამეცნიერო სკოლები და მეცნიერული მიმართულებანი მსოფლიოში სახელმოხვეჭილმა გამოჩენილმა მეცნიერებმა ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო მუსხელიშვილმა, ივანე ბერიტაშვილმა, ილია ვეკუამ, გიორგი წერეთელმა, ბევრმა სხვამ...

თბილისი იყო ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ისეთ მეხოტბეთა შთაგონების წყარო, როგორიც არიან ალექსანდრე პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი, ლევ ტოლსტოი, პეტრე ჩაიკოვსკი, მაქსიმ გორკი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ლესია უკრაინკა, გაბრიელ სუნდუკიანი, კოსტა ხეთაგუროვი, დიმიტრი გულია...

ალექსანდრე გრიბოედოვ მ ა, რუსი ხალხის დიდმა შვილმა, საქართველოში პოვა მეორე სამშობლო და მარადიული სავანე მთაწმინდაზე. აქვე, თბილისში, განისვენებენ ოვანეს თუმანიანი და მირზა-ფათალი ახუნდოვი...

თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლეგენდარული აშუღი საიათნოვა — მსოფლიო ლიტერატურის უნიკალური მოვლენა, პოეტი, რომელიც თანაბრად ნიჭიერად თხზავდა ლექსებს ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად.

მეგობრობისა და ძმობის ამ წმიდათაწმიდა ტრადიციებს, ამხანაგებო, თვალსაჩინოვით უნდა გაეუფრთხილდეთ, რადგან ეს ჩვენი ფასდაუდებელი საგანძურია, ხალხის, ჩვენი ახალგაზრდობის სულიერი ჯამდიდრების, ინტერნაციონალიზმის სახელოვანი ტრადიციებით მისი აღზრდის მძლავრი წყაროა. (ტაში).

თბილისი სახელოვან რევოლუციურ ტრადიციათა ქალაქია. აქ ჩაისახა საქართველოსა და ამიერკავკასიის მასობრივი მუშათა მოძრაობა. აქ იქმნებოდა მუშათა პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეები და ლენინურ-ისკრული ნაწილეკური ორგანიზაციები. რსდმპ თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით აქ ჩაფდებოდა ძმაფრი საგაფიცო ბრძოლა. მეფის ჯარები, ჟანდარმერია და პოლიცია აქ უშინდნენ ტყვიას მუშებს... მაგრამ ვერაფერმა ვერ გატეხა მუშათა კლასის რევოლუციური სულისკვეთება. თბილისელ მუშათა ვაჟკაცური ბრძოლა მთელი რევოლუციური რუსეთის უდიდეს აღტაცებას იწვევდა და ამ წითელი დროშა ისევ ისე მიუძღოდა მშრომელთა რევოლუციურ მასებს სოციალისტური რევოლუციის სრული და საბოლოო გამარჯვებისკენ, დიდი ოქტომბრის საქმის გამარჯვებისაკენ.

დღეს ჩვენ თბილისის სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებზე ამიტომ ვლაპარაკობთ, რომ განსაკუთრებით აღვნიშნოთ, თუ რა დიდი პატივია ეკუთვნოდეს [illegible] ქალაქო პარტიულ ორგანიზაციას, [illegible] ამაში, ვინც საქირველს [illegible] ორგანიზაციას, ვინც [illegible] საბრძოლო, რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს ქმნიდა, უჭკნობი დიდების შარავანდედით მოსავდა მას, იყვნენ ცნობილი რევოლუციონერები ოსეფ სტალინი, მიხა ცხაკაია, ალექსანდრე წულუკიძე, ლადო კეცხოველი, სტეფანე შაუმიანი, სურენ სპანდარიანი, ამო (სიმონ ტერ-პეტროსიანი), ნარიმან ნარიმანოვი, ალიოშა ჯაფარიძე, სერგო ორჯონიკიძე, სერგი კიროვი, მიხეილ კალინინი, ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, აბელ ენუქიძე, სერგო ქავთარაძე, მიხო ბოჭორიძე, ზაქარო ჩოდრიშვილი, ვანო სტურუა და ბევრი სხვა პროფესიონალი რევოლუციონერი. (ხანგრძლივი ტაში).

ასეთი სახელოვანი რევოლუციური და ინტერნაციონალისტური ტრადიციების ქალაქში როგორ უნდა მომხდარიყო ისეთი ანტიპოდური გამოვლინებების თუნდაც ერთი ფაქტი, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკე?! ეს ხომ ჩირქს სცხებს ყოველივე წმიდათაწმიდას, რითაც თითოეული თბილისელი ამაყობს!

ჩვენ გადავწყვიტეთ დღეს, თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის XXXVII კონფერენციზე გავიხსენოთ თბილისის პროლეტარიატის გმირული წარსული, რსდმპ თბილისის კომიტეტის საბრძოლო ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რათა კვლავ გავუსვათ ხაზი რევოლუციონერთა უფროსი თაობის სახელოვანი ტრადიციების წარუვალ მნიშვნელობას და სწორედ ამ რევოლუციური, სოციალისტური ტრადიციებით აღვზრდოთ დღეს ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი მომავალი თაობები. (ტაში).

თბილისი ერთი იმ ქალაქთაგანია, რომელსაც შეუძლია იამაყოს თავისი რევოლუციური ტრადიციებით, და ამ ტრადიციების დაცვა, მათი განვითარება და გამრავლება ჩვენი წმიდათაწმიდა პარტიული მოვალეობაა, ჩვენი დროის ყველა კომუნისტის წმიდათაწმიდა პარტიული მოვალეობა, ჩვენი თაობის მოქალაქეობრივი მოვალეობაა. (ტაში).

საქართველოს დედაქალაქისათვის, ჩვენი ქვეყნისა თბილისისათვის დაუცხრომლად ზრუნავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

საქართველოს დედაქალაქზე, თბილისზე მეტად გულთბილად ილაპარაკა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, როცა საქართველოს გადასცა მთავრობის ჯილდოები. და ყოველთვის, როცა რესპუბ[illegible] ლეონიდ ილიას ძე [illegible] ალაპარაკებენ, იგი მუდამ [illegible] ალაპარაკებენ, [illegible] ალაპარაკებენ, [illegible] ალაპარაკებენ,